კვირა, 6 იანვარი 1924 წ. წელიწადი მე-2-ე პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სომხეთის ხმა

№ 8 ყოველკვირეული ჟურნალი № 8

რედაქცია და კანტორა	ფ ა ს ი	რედაქცია და კანტორა
ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე" ოთახი № 102.	5 კაპ. ზაჟაღლო ოქროთი	ღია ყოველ დღე გარდა კვირა უქმისა დილის 8 ს. შუად. 1 ს.-დე.

ტყვია ვერ მოჰკლავს იდეას

მორალურად გალატაკებული, იდეოლოგიურად გადაგვარებული მენშევიკები დღეს მაუზერებით ხელში დაძრწიან.

და ფიქრობენ, რომ ტყვიით მოჰკლავენ იდეას.

მათ ტყვიით განგმირეს ამხ. ილარიონ გიორგაძე...

დაიკარგა, ვერ ვნახეთ, არ ვიცით სადაა სამსონ დობორჯგინიძე.

ორივე ესენი იყვნენ აქტიური მომუშავენი არალეგალურ ცეკასი და მხოლოდ ამ ერთი თვის წინათ გადმოვიდენ ჩვენს რიგებში...

მათ მარქსისტულად აწონ-დაწონეს შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა, კრიტიკულად შეხედეს მენშევიზმის გზას და შესძლეს თავი დაეღწიათ მენშევიზმის იდეოლოგიურ მონობიდან.

მათი ნაბიჯი იყო გაბედული, სრულიად მარქსისტული.

მაგრამ... არ სძინავდათ, თურმე, მენშევიკების ტერორისტებს...

და ორი ტყვიით მოკლეს ილ. გიორგაძე.

მაგრამ ტყვია, გამოსროლილი ჩვენსკენ, ვერ შეარყევს ჩვენს რიგებს.

ამ ტყვიას შეუძლია მოგვტაცოს მხეცურად თითო-ოროლა ამხანაგი, მას შეუძლია მოგვაყენოს ჩვენ ფიზიკური ტკივილები, მაგრამ ფაქტიურად ეს ტყვია მიმართულია იმათ წინააღმდეგ, ვინც მას გვიგზავნის ჩვენ. ეს ტყვია ანგრევს თვით მტრების ბანაკს და ყველასთვის აშკარა ხდება უძლურება, იდეოლოგიური სიღატაკე, გახრწნა, ზნეობრივი დაცემა იმ პირების, რომლებიც ტყვიით ფიქრობენ იდეის მოკვლას, ჩვენი გზის შეჩერებას.

მტრების მიერ გამოსროლილი ტყვია აათქეცებს და აასკეცებს ჩვენს რიგებს, გვმატებს ახალ-ახალ რაზმებს.

მაუზერს არ შეუძლია შეაჩეროს ჩვენი მიმდინარეობა. მაუზერს არ შეუძლია ჩაკლას ჭეშმარიტება. ცხელ ტყვიას არ შეუძლია მკვდრად აქციოს ჩვენი მიმართულება, აზრები, გზა, მიზანი.

17 ათასი მუშა, გლეხი და ახალგაზრდობა, მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრი, შეგნებულად დადგა კომინტერნის დროშის ქვეშ.

და აქეთკენ გამოსროლილი ტყვია მზაკვრული ხელის მიერ, გაანადგურებს მხოლოდ მტრის ბანაკს, როგორც მორალურად, იდეიურად, ისე ფიზიკურადაც.

ამხ. გიორგაძე მოგვიკლეს მუხანათურად, მხეცურად.

მაგრამ მის ადგილს იჭერს ლეგიონი, რომელიც სასტიკ პასუხს აგებინებს მუშათა კლასის ყველა მტრებს.

ამ მსხვერპლს ჩვენ ვერ ვაპატიებთ მენშევიკების ჯალათებს.

ამხ. გიორგაძის დაქცეული სისხლი მოუხმობს მუშათა კლასს ყველა ჩვენ

მენშევიკების ჯალათების მიერ 29 დეკემბერს მუხანათურად მოკლული

ამხ. ილარიონ გიორგაძე

ილარიონ გიორგაძე

(მუხანათურად მოკვლის გამო)

შავი ყორანი უცდიდა თურმე—
სიბნელის პირად გადაწოლილი.
ტყვიის ბორიომ გასცა სიჩუმე,
დეკემბრის ღამემ იწყო ტირილი.
მუდამ დარჩება კვალი წარსულის,
როგორც სიმართლე აწმყოს დიდება!
სულ ჩვენთან ივლის ამაყი სული—
ყაჩაღი ლანდი წყეულ იქნება...

ჰაგნელი მზიკი.

მტრების წინააღმდეგ სასტიკ, შეუბრალებელ ბრძოლისკენ.

ხოლო ჩვენს ამხანაგებს, რომლებიც შეუგნებლად დადგენ კომინტერნის დროშის ქვეშ, მოუწოდებს მეტი სიფხიზლისკენ, მტკიცე და ურყევი რაზმისკენ და გმირული ბრძოლისკენ ჩვენ მიერ მიღებულ გზაზე.

ს. დევდარიანის წერილი ნ. ყორდანიასადმი

ილ. გიორგაძის მოკვლის გამო.

ძვირფასო ნოე!

მეოთხე წერილს ვწერდი, გადავდევი. ილარიონ გიორგაძესთან პირადათ ვიყავი დაკავშირებული. პროფესიონალურ კავშირებში მუშაობდა. კავშირი შემიწყდა უკანასკნელ ორსამ თვეში, და ვეღარ ვხედავდი. ძალიან გამაკვირდა, აქ რომ მითხრეს, გავიდა პარტიიდანო. მაგრამ ეჭვი არ შემსვლია. ვიფიქრე, ის თუ გავიდა, გავიდოდა რწმენით, არაფერს არ იზამდა რწმენის გარეშე.

რათ მოხდა მისი მოკვლა, ვისი საქმეა ეს? ვითომ ხელმძღვანელი წრეებიდან გადაიდგა რაიმე ნაბიჯი ამ მხრივ? რაღა მაინც და მაინც ილ. გიორგაძეზე, რაღა ის ამოირჩიეს ამდენში? ხელმძღვანელ წრეებს თუ შურისძიება უნდოდათ, იძევდენ არჩილ რუხაძეზე, ფარნიევზე და სხვა, ისევ, ხელმძღვანელებზე.

მაგრამ ეს ჩემი მოსაზრება ვერ ახსნის პასუხისმგებლობას პარტიისაგან. თუ ის მოკლულია იმისათვის, რომ პარტიიდან გავიდა, პასუხისმგებელია პარტია, ვინც უნდა იყოს თითონ მკვლელი. ვთქვათ, ვინმე გაბოროტებულმა მენშევიკმა, ან გნებავთ უპარტიომაც ღალატათ ჩამოართვა ილ. გიორგაძეს გასვლა და გულის ჯავრი ამოიყარა, პასუხისმგებელია პარტია—პოლიტიკურათ, რასაკვირველია.

დაუშვა დაუშვებელი და დავიჯერო დაუჯერებელი? იქნება ილ. გიორგაძე გამოდგა საიდუმლო გამცემი და ამიტომ მიესაჯა სიკვდილი, ყველაფერზე უარესი პარტიისთვის იქნებოდა ეს. თუ ილ. გიორგაძემ ამისთანა რამე ჩაიდინა, ეს საშინელი მაჩვენებელი იქნება იმისი, რომ პარტია გახრწნილია.

შეიძლება მხოლოდ ერთი გარემოებაა ისეთი, რომ პარტია არაფერ შუაშია, ეს გარემოება იქნება მხოლოდ ის, რომ ილ. გიორგაძე მოკლულია, ვთქვათ, რაიმე პირადი ინტერესების ნიადაგზე. მაგრამ რაღა ახლა გამოჩნდა ეს პირადი იტერესები!

ჩემთვის ილარიონ გიორგაძის მოკვლა იბმება ერთ ერთ რგოლათ იმ საერთო კითხვის ძ წკვში, რომელსაც სათაურათ აქვს ჩემი კითხვითი ნიშანი—**რა ვქნათ?** პარტიამ უნდა თქვას პირდაპირ, რომ ის ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს წინ თუ იმის სავლელ გზაზე შესაძლებელი ხდება ასეთი მოვლენები, როგორც არის ილარიონ გიორგაძის მოკვლა. პარტიამ უნდა მოიხედოს უკან და კრიტიკის ქარცეცხლში გაავლოს მთელი ეს გზა. ნაშინ შეუძლია თქვას, რომ ის გრძნობს პოლიტიკურ და ზნეობრივ პასუხისმგებლობას მშრომელი ხალხის, მთელი ერის წინაშე.

მე ვთხოვ ძალაუფლებას, საჩქაროდ, და თუ შეიძლება რადიოს საშვალებით გადაუგზავნოს საზღვარგარეთ ნოე ყორდანიას შემდეგი ჩემი წერილი.

ძვირფასო ნოე!

ამ წერილს ვწერ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის კარჩაკეტილი ოთახიდან. მარტო ეს ფაქტი აფიქრებინებს ვინმეს, რომ ჩემი კალამი მოძრაობს ძალდატანების ქვეშ. ძალიან უხერხული მდგომარეობაა, მაგრამ მე არ გაჩუმდები და არ დავიწყებ აქეთ იქით ყურებას **„ვინ რას იტყვის“** შიშით.

მე ეროი შიში მაწერინებს მხოლოდ, და ამ შიშს იწვევს ჩვენი პარტიის ბედ-იღბალი საქართველოში. პარტია ვერ ივლის იმ გზით, რომლითაც ის მიდის აგერ სამი წელიწადია. დიდი შეცდომა იყო თავიდანვე პარტიული ტაქტიკის დამყარება რაღაც საეჭვო და იმავე დროს ხელმოუკიდებელ იმედებზე. ამ იმედებზე, ამ იმედების ღერძზე დატრიალდა მთელი საქმიანობა პარტიის, დაიჩრდილა მისი ძველი ფართო პერსპექტივები, თანდათან იზღუდებოდა მისი მსოფლმხედველობა, უშინაარსო ხდებოდა მისი პოლიტიკური მუშაობა. აქედან დაავადმყოფდა პარტია. დიდი ხანია, აგერ ერთი წელიწადია დაიწყო პარტიის დაშლა. არ შეიძლება ისე შევიწროება აზროვნობის, რომ ყველაფერს მოსყიდვით და ძალდატანებით ხსნიდე. თუ რამოდენიმე ათასი კაცი პარტიიდან გავიდა მოსყიდვით ან ძალდატანების შიშით, ეს კიდევ უარესი გახრწნაა პარტიის. თუ გასულებიდან ბევრი ისევ ბრუნდება იმ იმედით, რომ მოკლე ხანში „იქნება“ რამეო, ესეც გახრწნაა პარტიის.

აქ, ამ კარჩაკეტილში, აქაური გაზეთების ფურცლებზე წავიკითხე ნაწყვეტები იმ მიმართვის, რომელიც საზღვარგარეთის ბიუროს გამოუგზავნია საქართველოში. ეს მიმართვაც ყალბ იმედებზეა დამყარებული. იქნება ეს ერთ ხანს კიდევ შეაკავებინებს თავს ორიოდე „მოუთმენელს“, მერე კი უარესათ გაალრმავებს რღვევის პროცესს. პარტიას დაეკარგება ყოველგვარი პოლიტიკური ღირებულება და ჩავარდება ისეთ მდგომარეობაში, რომ ბრძოლის გზათ გადაექცევა სრული გაურკვევლობა ბრძოლის საშუალებებში.

გუშინ წინ მოუკლავთ ჩვენი ძველი ამხანაგი, მუშა ილარიონ გიორგაძე. ის იყო არალეგალური პროფესიონალური კავშირების ბიუროს თავმჯდომარე. ერთი თვის წინეთ გამოაცხადა პარტიიდან გასვლა. მე მგონია მკვლელობა მოხდა შურისძიების ნიადაგზე. ეს, რასაკვირველია, გამოიწვევს შურისძიებას მეორეს მხრიდან. ძალა უფლება ტეროორს ქვეშ დააყენებს პარტიის თვითეულ წევრს. ვერავითარი მოსაზრებით ვერ იტყვის ვერავინ, რომ იმას არ ექნება ამისი უფლება. გამწვავებული ურთიერთობა გამწვავდება უარესად, პოლიტიკა გადაიქცევა ველურ გაბოროტებათ. მუშათა წრეებში მოხდება ერთიმეორის მტრობა, გაძლიერდება საზიზღარი ანარქია.

რა მიზეზითაც უნდა იყოს გამოწვეული ილ. გიორგაძის მოკვლა, ეს ერთ-ერთი გამაფრთხილებელი მაგალითია ჩვენი საერთო კრიზისის, ერთ-ერთი დაჩირქული ადგილის მაჩვენებელია ჩვენი პარტიის სხეულზე. გაჯანსაღება მოითხოვს გაბედულ სიტყვას, მოურიდებელ ნაბიჯს და მოითხოვს ახლავე, გადაუდებლად, რომ უარესი არ იქნეს და მერე არ ვინანოთ.

მე არ ვიტყვი, რომ თითონ მოვშორდები ყველაფერს და თავს ვანებებ ყოველგვარ პოლიტიკურ მუშაობას. თქო. პოლიტიკურად არ მოვკვდები და ვამბობ გადაჭრით, რომ მე, რომელსაც ამდენი წელიწადი მიმუშავია პარტიაში და ამ მუშაობაში ყოფილა მთლიანად ჩემი საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრებაც, მე გავხდები აქტიური პოლიტიკური მოწინააღმდეგე ჩვენი პარტიის, თუ არ შეიცვალა მისი დღევანდელი გზა საქართველოს საკითხში.

მანდ ხართ ახლა უმეტესობა ცენტრალური კომიტეტის სრულუფლებიანი, 1920 წ. ყრილობაზე არჩეული წევრების. უნდა იფიქროთ და მოძებნოთ გამოსავალი. საუკეთესო გამოსავალი იქნება, თუ თითონ თქვენ ყველა მოეხსნებით ყალბ იმედებს და ამას ეტყვით პირდაპირ ქართველ ხალხს, რომელიც უყურებს ჩვენს პარტიას ამ იმედებით ხავსილაზე ხელჩაკიდებული. კიდევ უკეთესი იქნება, თუ აქედან გამოიტანთ ერთადერთ აუცილებელ დასკვნას, გამართავთ მოლაპარაკებას მმართველ პარტიასთან და შექმნით ისეთ პირობებს, რომ მოახერხოთ საქართველოში დაბრუნება და მუშაობა არსებული წესწყობილების ნიადაგზე.

სალამი ყველას.

ს. დევდარიანი.

ბრძოლა დაიწყო

ამრიგად, ბრძოლა დაიწყო...

იარაღი ამუშავდა...

შავი ძალები ამოქმედდა და ჩვენი რიგებიდან უკვე გამოვვტაცეს ერთი მებრძოლი ამხანაგი, გულწრფელი რევოლიუციონერი, ძველი მუშა.

ამხ. ილარიონ გიორგაძე პირველი მსხვერპლი შეიქმნა.

მისმა მუშურმა მკერდმა პირველმა მიიღო მტრის გამოსროლილი ტყვია, და მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის აძგერებულმა გულმა შესწყვიტა მოძრაობა.

29 დეკემბერს საღამოს ბნელში ქალაქის განაპირა უბანში მტკვრის პირად, „(სატივე"-ზე) პირველად ამუშავდა ჩვენ წინააღმდეგ მახვილი და ეს მახვილი ჩვენი რიგებისაკენ მიმართული ამხ. ილარიონ გიორგაძეს მოხვდა.

მეორე ამხანაგიც დაიკარგა.

ჩვენ არ ვიცით ჯერ მისი ბედი.

არ სჩანს ამხ. დობორჯგინიძე; მკვლელობის საღამოს კი ისინი სახლიდან ერთად გასულან.

17 ათას გამოფხიზლებულ, რევოლიუციის გზაზე შემდგარ მუშებსა და გლეხებს უკვე

იარაღით ებრძვის ადგილობრივი კონტრ-რევოლიუცია.

მაგრამ, განა ეს ჩვენ შეგვაშინებს?

განა მაშინ, როდესაც ჩვენ მივდიოდით დიდ ოქტომბერთან, არ ვიცოდით, არ ვგრძნობდით, რომ ჩვენი გზა სისხლით შეღებილი იქნებოდა?

განა ჩვენ არ ვიცოდით, რომ ამ გზაზე, როგორც წინეთ, ისევე ეხლაც და შემდეგშიაც არა ერთი და ორი მებრძოლი შეეწირებოდა წმინდა საქმეს მუშებისა და გლეხების იდეალების დაცვისას?

ვიცოდით, ვგრძნობდით, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებდა.

რა არის თითო-ოროლა მსხვერპლი იქ, სადაც მთელი ქვეყნის მშრომელთა განთავისუფლებისათვის ბრძოლა სწარმოებს?

განა რევოლიუციის გზაზე გამოსულ მუშებს და გლეხებს მსხვერპლის შეეშინდება!

ჩვენი რიგები მტკიცეა და შეუდრეკელი.

მსხვერპლი ჩვენს რიგებს ვერ შეარყევს,

ახალ გზაზე ჩვენ საბრძოლველად გამოვედით და ამ ბრძოლაში, თუ საჭირო იქნება, ერთად თავს დავდებთ.

დაიმახსოვროს ეს კარგად ჩვენში ამუშავებულმა შავმა ძალებმა.

დეე იცოდენ მათ, რომ ჩვენ ბრძოლაზე ბრძოლით უპასუხებთ, და ეს ბრძოლა მით უფრო სასტიკი და დაუნდობელი იქნება, რაც მეტი თავხედობით და უტიფრობით დაუწყებს ბრძოლას მუშათა მთლიან ფრონტს კონტრ-რევოლიუციონური ძალები.

ჩვენ ტყუილ უბრალოდ სისხლის ღვრა გვეზარება და გვძულს.

ჩვენ არავის სისხლი არ გვწყურია.

ჩვენი მიზანი მშვიდობიანი აღმშენებლობისათვის, ჩვენი ქვეყნის გამაგრებისათვის და მუშათა პატრონობის განმტკიცებისათვის მუშაობა იყო და არის.

ამ გზაზე ჩვენ შეგნებულად დავდეგით და ნურავინ ნუ შეეცდება წინ გადაგვეღობოს ჩვენ.

ტერორისტული აქტებით, ვერაგული მკვლელობით და თავდასხმით, თითო ოროლა ამხანაგების ჩვენი რიგებიდან გამოტაცებით ვერვინ ვერას გახდება.

თვითეული ჩვენი რიგებიდან გასულ ბრძოლაში დაცემულ ამხანაგების ადგილს ათეულობით და ასეულობით შეავსებს მებრძოლთა მუშების რეზერვი.

მაგრამ უფრთხილდით შავო ძალებო გამოფხიზლებულ ხალხის რისხვას!

ნუ გამოიყვანთ მას მოთმინებიდან, თორემ ტერორისტულ აქტების საპასუხოთ საშინელება დაგატყდებათ თავს.

ფრთხილად!

თვითეული ჩვენი ამხანაგის სიცოცხლე საჭიროა დღეს ჩვენი ქვეყნისათვის და იოლათ მას ჩვენ არავის დაუთმობთ.

მშრომელმა მასსამ რკინისებური სიმტკიცით და ენერგიით იცის ამოგლეჯა გახრწნილი ნაწილებისა.

შავ ტერორს ჩვენ არა ნაკლებ ენერგიით გაუმასპინძლდებით ჩვენი მუშური მკლავებით.

კარგათ დაიხსოვნეთ ეს!

ფრთხილად!

გ. ვ—იანი.



მენშევიკების ჯალათების მიერ 29 დეკემბერს მუხანათურად მოკლული ამხ. **ილარიონ გიორგაძე**

ამხ. ილარიონის ხსოვნას.

როცა ვზივარ-მაგონდება
ილარიონ წამებული,
როცა ვფიქრობ რო არ უძგერს
მუშას-მისი წრფელი გული,
როცა თვალწინ მე მიდგება
მისი შუბლი განგმირული,
მაშინ ვამბობ: „რისთვის მოკლეს,
რისთვინ უქნეს საქმე მტრული?

———

განა მისთვის, რომ მან დაგმო
ძველი გზითა სიარული
მუშამ-მუშას ხელი მისცა
გადუშალა თვისი გული?
განა მისთვის რომ ისურვა
ახალი გზით სიარული,
რომ სთქვა ღალატს ვერ ჩავიდენ
და მუშის მაქვს სიყვარული?

———

თუ აგრეა, მტერს შევსძახებთ:
თქვენ მოტყუვდით ანგარიშში.
ამხანაგი გამოგვტაცეთ
ტყვია ჰკარით იმას გულში,
ერთის ნაცვლად ასი მოვა
ჩადგებიან ჩვენთან რიგში...—
ერთის ნაცვლად ასს წავიყვანთ
ჩვენ ამხანაგ დაკარგულში.

ლადო ჩხაიძე.

1 იანვარი 1924 წ.

ილარიონ გიორგაძის ხსოვნას.

ნუთუ კაცი, კაცად მქნილი,
იმ ზომამდე გამხეცდება!
რომ მის ხელით, მოძმის სისხლი,
ვერაგულად დაღვრება!?

ნუ თუ კაცი გველი არის:
კაცთ სიცოცხლის მომწამლველი
რომ აწამოს კაცის სული
და მოსძებნოს მერმე ხვრელი-

ნუთუ კაცმა ეს ჰქნა!?
არა, არა, არა მჯერა;
მოძმეს გული გაუგმირა,
ტყვია თავშიც დააძგერა!

არა მჯერა, მაგრამ თვალწინ,
სამწუხაროთ, სავალალოთ,
ამხანაგის წმიდა ცხედარს,
გვმართებს ცრემლი დავაღვაროთ.

სამარემდის მივასვენოთ,
მუჭით მიწა მივაყაროთ.
არ დაგვაჩნდეს მწუხარება
მტერი, მით არ გავახაროთ...

არ მოუკლავთ გიორგაძე,
ვერც მოჰკლავენ, არც მოჰკვდება.
მის სახელი, მისი ხსოვნა,
ხალხის გულში განმტკიცდება.

შემცდარია მოღალატე,
კუნივითა ის იწრწოლებს
ისტორია თვის მსჯავრს დასდებს,
წყევა კრულვით მოიგონებს...

შაქრო ნავთლუღელი.

ჯალათეგმა მოგვიკლეს ილ. გიორგაძე

შავი ყორნები თავს დაგვჩხავიან. მენშევიკების სიხხლიანი ხელები ერთხელ კიდევ გაისვარა ეხლა უკვე მათი ყოფილი ამხანაგის ილ. გიორგაძის სისხლში. ამით მათ აშკარათ დაამტკიცეს მთლად თავისი სიკოტრე და უძლურება. იდეოლოგიურ ფრონტზე სასტიკათ დამარცხებულმა ავანტიურისტებმა ტერორი შემოიღეს, ტერორით სურთ შეაჩერონ მენშევიკური პარტიის ლიკვიდაცია, მაგრამ რათ ავიწყდებათ ამ უგუნურებს, რაც თვითონ გვასწავლეს, რომ ტერორს არაფერი სარგებლობა არ მოაქვსო. მაშ რათ მიჰყვეს ხელი ამ იარაღს? აშკარაა მათ ჭკუა და გონება სრულიად დაჰკარგეს, გადაიქცენ ფაშისტებათ. რათ მოჰკლეს მათ ილ. გიორგაძე? აი რათ: გიორგაძე იყო ერთი ძველი მებრძოლი მუშა, მენშევიკების პატონობის დროს მუშათა დიდი ორგანიზაციების წევრი, სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით ტფილისის მუშებში და რკინის გზელებში; მან შექმნა არალეგალური ბიურო პროფკავშირებში. მან მოაწყო ტფილისის არალეგალური კონფერენცია 29 აგვისტოს პარტიის დაშლის შემდეგ, სადაც თვითონ თავმჯდომარეობდა. მას სიკვდილის სრულებითაც არ ეშინოდა, ის ეწეოდა დაუღალავ შრომას არალეგალურათ; მაგრამ, როცა ის დარწმუნდა, რომ ის იბრძვის არა მუშების საქმისთვის, არამედ ევროპის ბურჟუა-კაპიტალისტების ლაქია ხომერიკების საქმისთვის, და როცა მან შეხედა, რომ მენშევიკების ახალ პარტიას ამშვენებენ მხოლოდ ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონერები, ყოფ. თავადები და მეფის ოფიცრები, მღვდლები და ბერები, მაშინ მან გადასწყვიტა წასულიყო იმ გზით, საითაც წავიდა 12 ათასი ყოფილი მენშევიკი გამოფხიზლებული მუშა. ამ ამბავმა თავზარი დასცა არალეგალურ ცეკას, მას შეეშინდა იმის, რომ გიორგაძეს არ გამოემეღავნებია მათი შავი საქმენი და მოჰკლეს იგი. შავმა ყორნებმა წაგვართვეს ერთი მუშათა საქმისათვის თავდადებული მებრძოლი 1904 წლიდან, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს. ჩვენ, როცა მესამე ინტერნაციონალის გზაზე შევდექით, მაშინ ვიცოდით, რომ ასე გაგვიმასპინძლდებოდენ ჩვენებური ფაშისტები. ჩვენს რაზმებს ერთი ამხანაგის მოკვლით ვერ დაშლიან ქარ. ფაშისტ-მენშევიკები.

30 დეკემბრიდან მენშევიკებმა დაიწყეს ფაშისტური მეთოდებით ბრძოლა. ჩვენც მათ გუმასპინძლდებით ისე როგორც ეკადრებათ ამ ბანდიტებს.

კ. თოფაძე.

მთლად გაპუტრდნენ...

(ამხ. გიორგაძის მოკვლის გამო).

რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატია ასცდა თავის პირდაპირ დანიშნულებას, რომ ის დასცილდა და გადაიხარა რევოლიუციონური ხაზიდან, ამას დღეს არ უარყოფს ამ პარტიის ერთი ლიდერთაგანი სეით დევდარიანიც. მაგრამ თუ ისე დაქვეითდებოდა ეს ოდესღაც ძლიერი პარტია, რომ ტერორის გზას დაადგებოდა, ეს შეიძლება ბევრს არც კი წარმოედგინა. მოულოდნელი აქ არაფერია. 29 დეკემბრის აქტი ლოღიკური შედეგია იმ გზის, რომელზედაც შესდგა საქართველოს სოციალ-დემოკრატია დღიდან გასაბჭოებისა.

1921 წელს საქართველოში მოხდა უდიდესი ისტორიული აქტი არა მით, რომ ნოე ჟორდანიას ხელისუფლება შეიცვალა ფ. მახარაძის მთავრობით, არამედ მოხდა გაერთიანება საქართველოს და რუსეთის პროლეტარიატის, რომელიც თავის მხრივ გამართლებას ჰპოულობს რევოლიუციის განმტკიცებაში და მისი მონაპოვარის შენარჩუნებაში.

რევოლიუციის გაღუნული ხაზი საქართველოში 1921 წ. გამოსწორდა და საქართველოს მშრომელი ხალხის მომავალი გადაეკვანძა რუსეთის პროლეტარიატის მაგარ ხერხემალს.

ჩვენი პარტია დასნეულებული შეხვდა ამ აქტს, ვინაიდან მიღებული იყო ყველას მიერ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა არის საშუალება რევოლიუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლად და ამიტომ ყოველი ნაბიჯი, რომელიც ამ მთავარ ხაზიდან გადაიხრებოდა, ითვლებოდა დაუშვებელ მოვლენად. ჩვენში განმტკიცებული იყო ის რწმენა, რომ რუსეთის რევოლიუციის ტალღების აქ შემოგორება ნიშნავდა საქართველოს გადაგვარებას, ანარქიისა და ქაოსის დამყარებას და სხვა.

პარტია შემცდარ ხაზზე იდგა ამ საკითხში იმთავითვე, სანამ 1921 წლის ისტორიული აქტის მოწამენი ვიქნებოდით. ამ აქტის შემდეგ პარტიამ მოვლენათა მიმდინარეობას ვეღარ აუღო ალღო ფართე მასშტაბით და აირჩია იმავე გაცვეთილი გზით სიარული. თუ პირველ ხანებში მასა ფეხდაფეხ მისდევდა მეთაურებს, შემდეგ საღმა ინსტიქტმა დაარწმუნა იგი, რომ არსებული ხელისუფლების მიზანს შეადგენს მშრომელთა ბედიღბალზე ზრუნვა; დაიწყო შეგუების ფსიხოზის გავრცელება და დიდი ყინული დადნა 1923 წელს 25—30 აგვისტოს. მას შემდეგ, რაც პარტიის უმრავლესობამ თითქმის 80 პროც. უარყო ძველი გზა, ზნეობრივ მოვალეობას შეადგენდა ყოფილ მეთაურების ამ დიდი მოვლენისათვის დიდი ყურადღება მიექციათ, გაეკეთებიათ მარქსისტული ანალიზი მოვლენის შინაარსის ასახსნელად და თუ ცეკა არსებობდა პარტიული მასის ინტერესებისათვის, როდესაც ეს მასა გმობს ამ ძველ გზას თუ თითონ არ დადგებოდა ამ გზაზე—ზნეობრივად ვალდებული იყო გამოეცხადებია თავი დაშლილად და თავი გაენებებია 12 ათასის ანუ თითქმის მთელი პარტიის გამოსვლის შემდეგ პარტიის სახელით მუშაობისათვის.

ჩვენ ვიცოდით იმთავითვე, რომ არალეგალური ცეკა კვლავ განაგრძობდა არსებობას და ეს მით უარესი მისთვის. ამით ის ამტკიცებს, რომ იგი უფრო თავის თავზე ზრუნავს ანდა იმ ელემენტებისათვის, რომელთა სოციალ-ეკონომიური პირობები შეარყია 1921 წლის რევოლიუციამ, ისე, როგორც გახრწნა თევზში იწყება თავიდან, სოც.-დემოკრატიაში გაიხრწნა არა მასა—მან იგრძნო თავისი ინსტიქტით თავისი ადგილი თუ სად უნდა იყოს და კიდეც მივიდა, იქ გახრწნა მოხდა მეთაურებში. ამ გახრწნის უკანასკნელი აკორდია ამხ. გიორგაძის ვერაგული სიკვდილი.

გულწრფელად ვაცხადებთ, არ გვინდოდა გვეხილა ჩვენი ყოფილი პარტია ასე დაქვეითებული, ასე დაცემული. ჩვენ, რომლებიც ესერებს ვკიცხავდით იმისათვის, რომ ტერორისტული აქტებით შეუძლებელია სოციალური სენის აღმოფხვრაო, ვინაიდან ეს ნიშნავს მხოლოდ შტოების შეჭრას და ძირი მაინც რჩება ხელუხლებელიო, დღეს ეს ძველი მარქსისტული აზრიც დავიწყებიათ ცეკაში მყოფთ, თუმცა არ არის გასაკვირი: ვინ დარჩა იქ, რომ მარქსისტული აზროვნების წინაშე პასუხისმგებელი იყოს, ან და განა ძალაუფლებისათვის მაძიებელ რაინდებს მეტი მოეთხოვება თუ არაყოველგვარი საშუალებების გამოყენება მიზნისათვის?

მართალია, ცეკას ბოროტმა ხელმა შეიწირა ამხ. გიორგაძე, რაიც ქართველ მუშებში საგრძნობი დანაკლისია, მაგრამ ჩვენ გვგონია ეს აქტი ბევრს, რომელთაც პატიოსნად სჯეროდათ არალეგალური ცეკას ხაზის სისწორე, თვალს აუხელს და ერთხელ და სამუდამოდ გვერდს იბრუნებს ამ ავანტიურისტულ გზაზე შემდგარ ცეკადან.

მართალია, 12 ათასს შეიძლება დღეს გამოაკლდა ერთი ღირსეული წევრი ჩვენი პარტიისა, შეიძლება ამ ბნელმა ძალებმა ერთი-ორი კიდევ მიუმატონ, მაგრამ ძალიან შემცდარი ბრძანდებიან ის ვაჟბატონები, თუ ფიქრობენ ვინმეს ამით დააფრთხობენ და უკან დაახევინებენ. პირიქით, ასეთი გამოსვლები ერთხელ კიდევ ადასტურებს ჩვენი გზის სისწორეს, ერთხელ კიდევ ამოწმებს ჩვენს დახასიათებას, რომ საქართვ. სოციალ-დემოკრატია გადასცდა რევოლიუც. ხაზს და იგი ავანტიურის ქსელში გაება.

ჩვენ გვგონია ამის შემდეგ არამთუ ყოფილი მენშევიკები და არალეგალურ ცეკის ხაზზე მდგომნი გაწყვეტენ კავშირს მათთან, არამედ იმ ჭრელ ფართო მასაშიც გაიტეხეს სახელი, რომელთა ინტერესების დამცველათ თავს უსირცხვილოთ აცხადებდა ქუთაისის არალეგალური კონფერენციის თავმჯდომარე-სოც. დემოკრატიას. შეგნებულმა პარტიულმა მასამ 25-30 აგვისტოს შეგნებულად მოკლა ძველი ხაზი და მით ეზიარა ახალ რევოლიუციონურ სიცოცხლეს. 29 დეკემბერს არალეგალური ცეკა ხელს აწერს უსირცხვილო და უსახელო სიკვდილს. საქართველოს მშრომელი მასა უდიდესი წყრომით მოიგონებს 29 დეკემბრის შავ გმირებს.

ახალი.

ვერაგული მკვლელობა!

საზიზღარი მკვლელობა მოხდა.

ჩვენს რიგებს, რევოლიუციის ერთგულ დამცველთა ლაშქარს, ბოროტმა ხელმა გამოსტაცა ერთი თავდადებული მებრძოლი, ძველი რევოლიუციონერი მუშა.

რას ფიქრობდენ?

ნუ თუ ასეთი შავი, უმგვანო აქტებით აპირებს ვინმე პარტიის რღვევის პროცესის შეჩერებას?

მართალია, თავდადებულ ბრძოლაში გამობრძმედილი მებრძოლის დაკარგვა მეტად მძიმეა ჩვენთვის, მაგრამ ჩვენ არ გვჩვევია გოდება, ტირილი...

გაათკეცებული ენერგიით განვაგრძობთ იმ საქმეს, რომელსაც შესწირა თავისი სიცოცხლე ამხანაგმა გიორგაძემ.

ვინ იყო ამხანაგი გიორგაძე?

რათ აფასებს მას მშრომელი მასა?

1904 წლიდან ამხანაგი ილარიონი შესდგა რევოლიუციის ეკლიან გზაზე. ჯერ კიდევ ახალგალგაზრდა, ჯანღონით სავსე ილარიონი ახალგაზრდული ენერგიით და გატაცებით შეუდგა მუშათა საქმის კეთებას და მას შემდეგ ერთხელაც არ უღალატნია მისთვის.

თავის რწმენით ის გულწრფელად მთელი თავის ენერგიას ახმარდა მისთვის ძვირფას საქმეს და სადაც მუშათა კლასი, მშრომელი მასა იყო, ისიც მასთან იყო ჭირშიც და ლხინშიაც.

ის სოციალ-დემოკრატი მენშევიკი იყო, მაგრამ მუშამ მუშათა მასებთან წასვლა არჩია მაშინ, როდესაც დაინახა, რომ მისი გზა არ ემსახურებოდა მის მისწრაფებებს.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კონფერენციები ხდებოდა, როდესაც გამოფხიზლებული ხალხი, ათეულ წლებით მენშევიკური პარტიის წევრები გულახდილად უცხადებდა ნდობას საბჭოთა მთავრობას, ამხანაგი ილარიონი ხშირად იტყოდა ხოლმე „მუშათა საქმეს ვემსახურები, მუშები ხომ იქ არიან, მაშ მე სადღა უნდა წავიდეო“.

ჯერ კიდევ მაშინ ამ დიდი პროცესის დროს იყო ის თითქმის დარწმუნებული იმაში, რომ ძველ უვარგის გზას შეცვლა უნდოდა და ახალისკენ ამჯობინა წასვლა.

როგორც მუშა მას სხვაგვარად აზროვნობა არც შეეძლო,

მაგრამ ძველი ტრადიციის პარტიულ ჩვეულების გამო, ის, როგორც ერთ-ერთი ხელმძღვანელი მენშევიკური პარტიისა არალეგალურ მუშაობის პროცესში ჩაბმული, ვერ ახერხებს ერთი დაკვრით მოცილებას და ხელაღებით ვერ გადმოდის გამოფხიზლებულთა დროშის ქვეშ, ის იწვევს არალეგალურ კონფერენციას მენშევიკური პარტიის „ნარჩენებისას“ და აქ სავსებით რწმუნდება იმაში, რომ მენშევიკური პარტია უკვე აღარ არის მუშათა პარტია.

ის ხედავს, რომ ს. დ. მ. პ. მუშათა პარტია როგორც გეზით, ისევე შემადგენლობით აღარ არის ის, რაც უნდა იყოს. რომ ეს პარტია ველარ გამოხატავს მუშათა კლასის ინტერესებს. და აი ამის შემდეგ ის უკვე აღარ რჩება ამ პარტიის რიგებში.

ამის შემდეგ მას აღარაფერი აკავშირებს იმ ხალხთან, ვისაც მხოლოდ შოვინისტური, ნაციონალისტური მისწრაფებისათვის შეუწირავს თავისი ძალა და ენერგია.

ვინც სხვაზე არაფერზე ფიქრობს, გარდა იმისა, რომ ჩვენში დასცეს მუშათა მთავრობა და მის ნაცვლათ ევროპის იმპერიალისტთა მიერ ნაკურთხი მთავრობა წამოასკუპოს, ბურჟუაზიის მონა მორჩილი.

ის ხედავს, რომ ამ გზით საქართველოში რეაქციას ეღება კარები და მუშათა კლასს დარბევა-აწიოკება მოელის.

აბა რა გაიჩერებდა იქ ძველ მუშას ძველ რევოლიუციონერს ამხ. ილარიონს? რა გასაკვირია, რომ ის ხელაღებით გულწრფელად და შეგნებულათ დადგა რევოლიუციის დამცველთა რიგებში? ეს მისი ვალი იყო და შეასრულა კიდეც.

მაგრამ აქ მან ერთგვარი წამება განიცადა. ის არალეგალურ მენშევიკურ ცეკას წევრი იყო და „ობივატელებმა“ მას ღალატი დააბრალა—გამცემლობა.

რა თქმა უნდა, პატიოსან მებრძოლ ამხანაგ ილარიონ გიორგაძეს არ დაუმსახურებია ასეთი სახელი მით უმეტეს, რომ მას არავის წინაშე არავითარი ბრალი არ მიუძღოდა.

მაგრამ მას მაინც დასწამეს ეს ცილი. მის უმწიკვლო რევოლიუციონურ სახელს მაინც მოსცხეს ასეთი ჩირქი.

ამხანაგი ილარიონი დღეს უკვე ჩვენ რიგებში აღარ არის.

მაგრამ მისი ხსოვნა, მისი სპეტაკი სახელი მარად იქნება მის თანამებრძოლ ამხანაგებში.

მის სახელს ჩირქს ვერავინ მოსცხებს.

მიუდგომელი ისტორია დააფასებს და შესაფერს მსჯავრს გამოუტანს იმათაც, ვინც ეს ვერაგული, საზიზღარი მკვლელობა ჩაიდინა, და იმათაც, ვინც სცდილობს მისი წმინდა სახელი ტალახში ამოსვაროს და „გამცემლობა“ დააბრალოს პატიოსან რევოლიუციონერს, რომლის სახელი მუდამ შარავანდედით იყო მოსილი.

კლდე.

რატომ მოჰკლეს ამხ. გიორგაძე?

ჯალათებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ამხ. ილარიონ გიორგაძე იმიტომ, რომ მათ ვერ მოითმინეს მისი გადმოსვლა კომინტერნის პლატფორმაზე.

ამხ. გიორგაძე იყო ერთი ძველი, შეგნებული მუშათაგანი, რომელიც ჩვენი სალიკვიდაციო ყრილობის შემდეგაც განაგრძობდა მუშაობას არალეგალურ მენშევიკურ ცეკას რიგებში.

ის იყო თავმჯდომარე იმ კონფერენციისა, რომელიც პარტიაში დარჩენილმა თუთხმეტმა მენშევიკმა მოაწყვეს არალეგალურად ჩვენი ყრილობის შემდეგ, 5 სექტემბერს, თბილისში.

ამ ყრილობამ აშკარად დაუმტკიცა ამხ. გიორგაძეს, რომ მენშევიკური პარტია სრულიად დაშორდა მარქსიზმს, საერთაშორისო სოციალიზმის იდეოლოგიას.

რა დაადგინა ამ კონფერენციამ?

მე ხელთ მაქვს იქ მიღებული რეზოლიუციები. ვკითხულობ მას და განცვიფრებას ვეძლევი თუ როგორ დაშორდა მენშევიზმი მუშათა კლასს.

ეს კონფერენცია წავიდა... საერთაშორისო სოციალისტური რევოლიუციის წინააღმდეგ.

პროლეტარიატის დიქტატურა ამ კონფერენციამ დაახასიათა, როგორც „უფსკრულში გადაგდება პროლეტარიატის“ და ამიტომ ის ილაშქრებს საერთაშორისო რევოლიუციის და პროლეტარიატის დიქტატურის წინააღმდეგ.

მან ერთხელ კიდევ აღიარა, რომ საჭიროა ბრძოლა რუსეთის კომუნიზმთან ყოველივე საშუალებით, გამოაცხადა პარტია „საქართველოს ინტერესების დამცველად“ და პარტიის სტრუქტურის პირველ მუხლში გაუხსნა ამ პარტიაში გზა ყველას, განურჩევლად სოციალური მდგომარეობისა.

— „პარტიის ყოველივე წევრი და თანამგრძნობი შედის ერთ-ერთ უჯრედში, იხდის თვიურ საწევრო გადასახადს (თუ ის არაა უმუშევარი) ემორჩილება და ასრულებს ხელმძღვანელ ორგანიზაციის დირექტივებს“...

როცა მუშათა კლასი მოშორდა მენშევიზმს, ამ უკანასკნელმა მიზნად დაისახა მათ ადგილზე ახალი წევრების მიღება და ფართოდ გაუღო კარები ყველა უმაყოფილო ელემენტებს: ყოფილ თავადებს, აზნაურებს, მემამულეებს, ვინც ორგანიულად ვერ შეთვისებია საბჭოთა წესწყობილებას.

გერმანიის პროლეტარიატს ეს კონფერენცია ურჩევს „გაუადვილოს გერმანიას საფრანგეთთან შერიგება“.

— „როგორც გერმანიის სოციალ-დემოკრატია, აგრეთვე მთელი სოციალისტური ინტერნაციონალი მხარს უჭერს გერმანიის მთავრობას საფრანგეთთან შერიგებაში“.

აი რას ამბობს ეს კონფერენცია. ის ურჩევს მუშებს მხარი დაუჭირონ შტრეზემანის მთავრობას, შეურიგდენ საფრანგეთის იმპერიალიზმს...

ამ კონფერენციაზე გამოსულ ხელმძღვანელების პოლიტიკამ აშკარად დაანახვა ამხ. გიორგაძეს მთელი მოღალატეობა მენშევიზმის, იმ მენშევიზმის, რომელიც საზღვარ-გარეთელ ბიუროს სახელით ეშეპება ნაციონალ-დემოკრატებს ჩოლოყაშვილის ბანდების მოწყობაშედგენაში.

ამ კონფერენციამ გამოაცხადა თავი 2550 პარტიის წევრის წარმომადგენლად. ეს ციფრი იყო ფიქტიური.

— შემთხვევით მოსული პირები ზეპირად ამბობდენ, რომ ისინი ამდენი და ამდენი პარტიის წევრების წარმომადგენლები არიანო. ნამდვილად კი მათ ზურგს უკან არავინ იყო, —შემოშჩივლა ერთხელ ამხ. გიორგაძემ.

ამ კონფერენციამ გაილაშქრა აგრეთვე იმ 12 ათასი მუშის წინააღმდეგ, რომლებიც შეგნებულად დადგენ კომინტერნის გზაზე. მათ უწოდეს გამყიდველები.

ყველა ამ სიყალბეში დარწმუნდა ამხ. გიორგაძე, თავმჯდომარე ამ კონფერენციის. და ის შეგნებულად გადმოვიდა ჩვენს მხარეზე, მოშორდა მოღალატეებს და შეურთდა მუშათა რაზმს.

ძველი მუშა, ძველი ჯარის-კაცი რევოლიუციისა მოვიდა თავის სულიერ ამხანაგებთან, მუშათა კლასთან და ჩადგა სოციალიზმისთვის მებრძოლთა რიგებში.

ჯალათებმა ვერ მოითმინეს ეს. ისინი ბრაზით აივსენ, როცა უკანასკნელი ნაშთებიც მოშორდენ მათ.

და აი მათ აამუშავეს რევოლვერები.

მაგრამ ეს არის აგონია სიკვდილის პირზე მყოფ, სულთ მობრძავ არსების.

და ჰაერში ათამაშებული რევოლვერები მთელი თავისი სიმძიმით თავს დაეცემა თვით მაუზერიზმის ავტორებს.

ა. რ.

გაახილეთ თვალები!

თუ ამხანაგ სეით დევდარიანმა მეტად სასიხარულო სიჩქარე გვიძღვნა საქართველოს მუშათა კლასს საახალწლო წერილებით: მეტად მძიმე სამგლოვიარო და ქურდული მკვლელობით გაუმასპინძლდა ძველ რევოლიუციონერ მუშას ამხ. ი. გიორგაძეს და მის სახით საქართველოს პროლეტარიატს ავანტიურისტული — ჰაერში გამოკიდებული მენშევიკური ცეკა და მის მიერ გაბოროტებული ჯალათი. როდესაც ყოველ მუშის გულის სიღრმეში ჩასწვდა ამხ. სეითის წერილები და სიხარულმა მოიცვა ჩვენი პროლეტარული უბნები, როდესაც აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაუთავებელი იყო და დიდი კამათი სწარმოებდა ამ წერილზე, ღაზით 29 დეკემბერს ვერაგულად, ქურდულათ განგმირულ იქნა პატიოსანი რევოლიუციონერის გული.

და მერე ვინ, ვინ ჩაიდინა ეს სიმხეცე?

ვინ აღმართა ბოროტი ხელი ამ ძველ, გამობრძმედილ რევოლიუციონერზე?!.

პასუხი ერთია. გაბოროტებულმა, არალეგალურმა ცეკამ. ის გაბრაზებული, თავბრუ დასხმული იქით აქეთ ეხეთქება მას შემდეგ, რაც მუშათა კლასმა ზურგი შეაქცია და არ იცის ვიზე იმიოს შური...

შეხედეთ, მერყეო ამხანაგებო, გაახილეთ კარგათ თვალები, ვინ დაიწყო თქვენი შემუსვრა?!. ვინაა, რომ გაუკითხავათ, ქურდულათ ბნელ ქუჩაში მუშებს ხოცავს?!.

ისინი, ვინც ამ რამოდენიმე წლების განმავლობაში, ვითომ და „თქვენი ინტერესების დამცველი იყო“... და დღეს, როდესაც მუშების დიდმა ნაწილმა ამ ავანტიურისტებს გაუგო თავისი კონტრ-რევოლიუციონური და მტაციბლური გეგმები და ზურგი შეაქცია, ისინიც დაიბნენ და სიბრაზისაგან დამთვრალებმა აღარ იციან რა ქნან.

მაგრამ ძლიერ საინტერესოა ამ ვერაგული, ქურდულ-მხეცური სიკვდილით ნეტავ ვისი შეშინება უნდა ამ ვაებატონებს?!.

მუშების?!. რევოლიუციონერების?!.

რევოლიუციონერებს სიკვდილის და წამების არ ეშინიათ, რადგან ჩვენ აკვნიდანვე ეს თან დაგვდევს...

ამხანაგო მუშებო და გლეხებო!.. გაახილეთ თვალები და ნათლად დაინახეთ ვინ არიან თქვენი მტერ-მოყვარე. ვინ უქადის მუშათა კლასს განადგურებას, ვის უნდა თქვენ სისხლზე, თავისი და ბურჟუაზიის ბედი ააგოს.

დღესაც დაიწყებენ სისინს ეს ქვე-მძრომი პარაზიტები, რომ ჩვენ მუშათა ინტერესებისათვის მოვკალით ეს მუშა ამხ. ი. გიორგაძეო?!.

მაგრამ ნუ თუ მუშათა ინტერესებისათვის ერის საჭირო შეუიარაღებელი მუშების გაუსამართლებლათ, ქურდულათ სიკვდილი? რა საკვირველია, არა!

იზეიმეთ ქვემძრომნო, გაიხარეთ ახალ წელს, მაგრამ ეს სიხარული მალე ცრემლებათ შეგეცვლებათ. ჩვენ კი გლოვას ჩვეული არ ვართ, ჩვენ, რევოლიუციონერები მსხვერპლს ვართ ჩვეული და ჩვენი ასეთი სიკვდილი ვერ გაგვტეხს. პირიქით, ყოველი ამხანაგის სისხლი უფრო გაგვამაგრებს, ენერგიას გვმატებს და იმ საოცნებო ქვეყანაშიც გამარჯვებულნი შევალთ.

მაგრამ ვაი მათ, ვინც მუშებს ქურდულად, გაუსამართლებლად უსპობს სიცოცხლეს. მათ მონახავს თვალებ გახელილი გამოეხიზნელებული მშრომელი მასსა, და ამ ავაზაკ-ჯალათებს უსასტიკეს პასუხს მოსთხოვს.

ილიკო ჯუღელი.

ამხ. ილ. გიორგაძის მოკვლის გამო

ამხანაგი ილარიონი იყო მშვიდი და მასთან აქტიური მომუშავე. პარტიული მუშაობა დაიწყო 1903 წელს და მთელ თავის ენერგიას პარტიულ მუშაობას ახმარდა. უკანასკნელი ორი წელწადი ერთად ვმუშაობდით, იმას თავისი პირადული „მე“ არა სწამდა, ის მხოლოდ პარტიული საქმეში იყო გართული, ის მუშაობდა თითქმის უკანასკნელ დრომდი მენშევიკურ პარტიაში და როდესაც დარწმუნდა, რომ თავისი მუშაობით მუშათა კლასს ღალატობდა, უარყო მაშინ თავისი გზა და შეუერთდა ნამდვილ სწორ გზას—მესამე ინტერნაციონალს. მერე, იცით, რით გაუმასპინძლდა მას ამისთვის მენშევიკური პარტია?! ტყვეით. იმდენათ გაიხარწნა მენშევიკური პარტია, რომ იდეური ბრძოლა არც კი შეუძლიანთ. თუმცა ვის უნდა მოესთხოვოთ იდეური ბრძოლა, ვინ-ლა დარჩა მათთან: მხოლოდ ვაჭრები, მღვდლები, სპეკულიანტები და მოხეტიალე თავადაზნაურობა. ნუ თუ გონიათ მაგ ავანტიურისტებს ტეროორით ფონს გავლენ და შეაშინებენ მუშებს! პირიქით, უფრო მეტათ დაუწყებთ ბრძოლას. თუ კიდევ ვინმე დარჩა მათ რიგებში, ისინიც კი ჩამოშორდებიან მათ. მუშები, ამხანაგო ილარიონ, შენს მაგივრათ მეტის ენერგიით ათიათასობით განაგრძობენ ბრძოლას.

მუშა ნაბია.

რა ჩაიდინეთ თქვე უგუნურებო!?

(ამხ. ილ. გიორგაძის მოკვლის გამო).

ნუ თუ ავანტიურა იმ ზომამდე უნდა მივიდეს, რომ რას აკეთებს არ იცოდეს? განა ისე დასუსტდით, დაქვეითდით, რომ გონებაც დაკარგეთ? რა დაგიშავათ იმ სპეტაკ არსებამ, რომელსაც მიპარვით, ქურდულად, მოსტაცეთ სიცოცხლე? ნუ თუ იმიტომ, რომ მან გაუწია ანგარიში იმ შემცდარ გზას, რომელსაც დღესაც ბევრნი ადგეხართ და ხვალ თუ არა, ზეგ მაინც დაინახავთ სისწორეს? ნუ თუ მუშებს არ გვაქვს უფლება ჩვენი აზრი ვიქონიოთ? ჩვენ არ გვაშინებს მსხვერპლი. თქვენი ასეთი ნაბიჯი ჩვენი რიგების გაკაჟებაა, თქვენი ასეთი ქცევა ჩვენი შეკავშირებაა.

მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენ ილარიონი დავკარგეთ და ის შეიქნა უგუნურთა მსხვერპლი, მაგრამ სასიხარულო ის არის, რომ ილარიონის ადგილს დაიჭერს მრავალი ფხიზელი მებრძოლი. მხოლოდ ვაი თქვენ, რომ დარჩებით მშრალზე გარიყულნი, როგორც საერთაშორისო მუშათა კლასის მოღალატენი.

გიორგაძე თუმცა მოკლეს, მაგრამ იდეა მაინც იზრდება ჩვენდა საბედნიეროთ და ხელისუფლების სასარგებლოდ.

მუშა სიმონა.

ამხ. ილარიონ გიორგაძის დაპრძალვა

3 იანვარს საქართველოს მუშათა კლასმა ცივ სამარეს მიაბარა მუშათა კლასის ინტერესებისათვის, სოციალიზმისათვის თავდადებული მებრძოლი, რომელიც ბნელ ღამეში ქურდულად, ღაჩრულად განგმირულ იქნა მტრისაგან.

ეს დღე იშვიათი დღე იყო. ამ დღეს, ილ. გიორგაძის დასაფლავებაზე ნათლად და აშკარად გამოიხატა, რომ შეიქმნა ნამდვილი მთლიანი მუშათა ფრონტი საქართველოში; რომ კომპარტია და ის მასსა, რომელიც მის პლატფორმას იზიარებს ხელიხელ ჩაკიდებული მიდიან ტ ივლიან რევოლიუციის ფართო გზაზე.

ამხ. გიორგაძის დასაფლავებაზე მტრებმაც კი იგრძნეს კომპარტიის და სოც. დემოკრატიული პარტიის აქტივის გაერთიანება და შიშის ზარმა მოიცვა ისინი...

მიხეილის საავათმყოფოსთან ღვა ხალხი მოგროვდა... წითელმა დროშებმა დაფარა ქუჩა. უმთავრესად აქ არიან მუშები... ყურადღებას აქცევენ რკინისგზელები... იყო მშვენიერი ხორო მუშებისაგან შემდგარი. ოთხი სამხედრო მუსიკა, ცოცხალი გვირგვინები და სხვა.

სრულ ოთხ საათზე ამხ. გიორგაძის ცხედარი გამოასვენეს საავათმყოფოდან...

პირველ სიტყვას თფილისის მუშათა ერთი ჯგუფის სახელით ამბობს მუშა კ. თოფაძე. მისი სიტყვები სავსეა ზიზღით და აღშფოთებით მკვლელებისადმი. „საქართველოს ფაშისტებმა მოგვიკლეს ჩვენი ამხანაგი გიორგაძეო, იწყებს ის. ჩვენ ვერ შეგვაშინებს მსხვერპლის გაღება, რევოლიუციის ეკლიან გზაზე შეიძლება კიდევ გავიღოთ მსხვერპლი, მაგრამ სწორი არჩეული გზით მაინც ვიგლეთო.

დღეიდან ყველამ უნდა იცოდეს: ჩვენ მტრები ვართ ავანტიურის გზაზე შემდგარი მენშევიკებისა და ვებრძვით მათ.

თოფაძის შემდეგ გამოდის ვ. სტურუა, რომელიც სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობის სახელით ილაპარაკა, მან აღნიშნა რევოლიუციის განთიადზე გიორგაძესთან და საერთოდ მენშევიკებთან ერთად მუშაობა, ხაზი გაუსვა უკანასკნელ ამბებს— მთლიანი ფრონტის შექმნას და საბჭოთა ყრილობის სახელით განაცხადა: ჩვენ კომუნისტებმა ბრძოლის დროს ბრძოლა ვიცით, ხოლო მშვიდობიანობის დროს ლმობიერნი ვართო. ჩვენ მოგვიკლეს გურიაში ობოლაძე, სანიკიძე და

ჩუბინიძე, მაგრამ ეს ბანდიტებს ძვირად დაუჯდათ, ოთხმოც და თორმეტი კაცი გამოესალმა ამის გამო წუთი სოფელს.

ამ მკვლელობასაც ძვირად დაუჯდენთ მენშევიკებსო, სთქვა ამხ. სტურუამ. დასასრულ ორატორმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა სავსებით უზრუნველყოფს ნივთიერად ვერაგულად მოკლულ ილ. გიორგაძის ოჯახსო.

შემდეგ ილაპარაკა ისევ საბჭოთა ყრილობის სახელით ანდრო დოლიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ყველა მაზრები აღშფოთებულია ილ. გიორგაძის მკვლელობით და მოითხოვენ მკვლელების სასტიკად დასჯასო. თან დაუმატა— კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ძვირად დაუჯდენს თავზე ხელაღებულ მენშევიკებს ილ. გიორგაძის მოკვლასო.

ამის შემდეგ მიცვალებული წაასვენეს პლეხანოვის ქუჩით დიდუბისაკენ.

გზაზე სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ („ნოეში“ მოთავსებულია ყოფილ მენშევიკების ბიურო) ყოფილ მენშევიკების სახელით სიტყვა წარმოსთქვა ამხ. არ. რუხაძემ, რომელმაც აღნიშნა ის გარემოება, რომ, როცა ს. დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) ყრილობა შესდგა, ამხ. გიორგაძე მის გარედ დარჩა. ის თავმჯდომარეობდა მენშევიკების არალეგალურ კონფერენციას 5 სექტემბერს და ამ კონფერენციაზე აშკარად დარწმუნდა ძველი მუშა რევოლიუციონერი, რომ მენშევიკები ასცდნენ სწორ გზას და მათი ტაკტიკა დამღუპველია საქართველოს მუშათა კლასისათვის. ის დარწმუნდა, რომ 17 ათას მუშა და გლეხის მიერ აღებული გეზი სწორია და რამოდენიმე კვირის წინეთ ჩვენ შემოგვიერთდა. ეს ვერ მოითმინეს გაკოტრებულმა მენშევიკებმა და ამხ. ილარიონ გიორგაძე ვერაგულად მოჰკლეს. ტყვია, დაასკვნის ორატორი, მტრის ბანაკიდან გამოსროლილი, ჩვენს რიგებს არ შეაშინებს. პირიქით, ჩვენს რაზმებს შეამჭიდროებს, რიგებს გაამაგრებს და უფრო მეტ ენერგიას და ძალას შემატებს მტრების წინააღმდეგ საბრძოლველადო.

მუშათა ცენტრალურ კლუბთან ამიერ-კავკასიის რკინის გზის პროფკავშირის სახელით მგრძნობიარე სიტყვა სთქვა ამხ. ნ. ლეჟავამ. მან განაცხადა, რომ რკინის გზის პროფკავშირის წევრად ამიერიდან არ უნდა იქნეს არც ერთი მენშევიკი, რომელიც იზიარებს მისი პარტიის ავაზაკურ, მუხანათურ პოლიტიკასო.

საღამოს სრულ ექვს საათზე მიცვალებულის ცხედარი მუშათა კლასმა მიაცილა დიდუბის პანთეონამდე, სადაც შინაარსიანი და მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ალ. ფარნიევმა ქართულ და რუსულ ენებზე, მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მუშები და გლეხები შეგნებულად შესდგნენ ახალ გზაზე და მათ ამ გზიდან ვერ გადააცდენს ტერორისტული აქტები, რომელსაც მუდამ უარყოფით უყურებდა სოც. დემოკრატიული მუშათა პარტია მთელი თავის მოღვაწეობის ხანაში. მუშებმა მუშური შეგნებით მიაგნეს სწორ გზას და ამ გზით ივლიან ისინი მომავალშიცო.

ამის შემდეგ ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა სახელით ილაპარაკა ამხ. შ. სიხარულიძემ, გარე-კახეთის გლეხობის სახელით—მაისურაძემ (ტურა), საკუთარი ლექსი წაიკითხა, მუშა-პოეტმა შაქრო ნავთლუღელმა, სიტყვა სთქვა აგრეთვე წითელ არმიელთა წარმომადგენელმა, რომელმაც ზიზღით მოიხსენია მუშა რევოლიუციონერის მკვლელები და ფიცი დასდო, რომ წითელი არმია დღეიდან გაასკეცებული ენერგიით იბრძოლებს კომუნიზმის დასაცავად.

დასასრულ უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა კ. თოფაძემ, რის შემდეგ მსხვერპლი დაკრძალულ იქნა.

დამსწრე.

რა ვქნათ?

წერილი პირველი.

1. წინასიტყვაობისათვის.

ეს დაწერილი მქონდა, როცა გაზ. „კომუნისტში“ ვნახე რუბენის წერილები. ჩემზედაც ამბობს იქ ორიოდე სიტყვას:—დარწმუნდა, რომ პარტიაში ღრმა კრიზისია და „ახალი გზების“ ძებნასაც კი შეუდგაო. ეს ორი სიტყვა **ახალი გზები** ბრჩხილებში აქვს ჩასმული. ბრჩხილებში მე ისე მესმის, რომ ჩემი ახალი, ალბათ, ძველი გამოდგა და ამ გზამ ჯერჯერობით ჩეკაში მიმიყვანა. არ ვიცი ბრჩხილებით დაიწერება აწი ეს, თუ უბრალოთ, მე კი ვგრძნობ, რომ ვალდებული ვარ განვაგრძო იგივე ძიება მეტი ენერგიით და მოურიდებლობით. ჩემი წერილების შინაარსზე ბევრი იტყვის, იქნება, რომ მე ახლა ვეძებ ჩეკიდან გამოსავალ გზას. არა, ღმერთი, რჯული. ძალიან კარგათ ვგრძნობ თავს. შესანიშნავათ ვარ მოწყობილი იდეური მუშაობისათვის. თავისუფალი არა ვარ, მაგრამ ამდენ თავისუფალ დროს ჩეკის გარეშე ვერ ვიშოვნი. სიამოვნებით გამოვიყენებდი ამ დროს რომელიმე კულტურულ საზოგადოებრივ საქმისთვის, თუ არ ვცდები, ბოლშევიკების გინების გარდა შემიძლია ცოტა სხვა რამეც.

ხუმრობა იქით იყოს, მით უფრო რომ რასაც ქვევით ვიტყვი, ის გლახა გუნებაზე დააყენებს ჩემ ამხანაგებს, ეწყინებათ იმათ, ვინც ფიქრობენ, რომ ჩვენ აღარ ვაკეთებთ ახლა პარტიის საქმეს (ასე უთქვამს ქუთაისის არალეგალური კონფერენციის თავმჯდომარეს, რუბენი ამბობს, არ ვიცი), კიდევ უფრო ეწყინებათ მათ, ვისაც, რუბენის აზრით, მუშა-გლეხების გარეშე წრეებიდან იწვევს პარტიაში ჩვენი ცენტრალური კომიტეტი.

მოულოდნელი კი არაფერია, კერძო ლაპარაკში ამხანაგებთან ყოველთვის გამომითქვამს ხოლმე ეს აზრები, მეტი წილი და თავი და თავი მაინც. მე ვამბობდი თავიდანვე, რომ საქართველოს იურიდიული ცნობა ევროპის სახელმწიფოების მიერ არ გამოდგება, არც უნდა გამოვიყენოთ დასაყრდნობ წერტილად საბჭოთა ძალაუფლების წინააღმდეგ. მე ვამბობდი, რომ ეს შექმნის ხალხში ტყუილ იმედებს და საშინელ ყალბ მდგომარეობაში ჩააყენებს ჩვენს პარტიას.

საქმე იმაში კი არ არის, რომ ჩვენი ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის ერთსულოვანათ და გადაჭრით წინააღმდეგი იყო ინტერვენციების და ავანტიურების. საქმე იმაში კი არ არის, რომ თითონ ნოე ხომერიკიც *) მკაცრი მოწინააღმდეგე იყო ამისი. (საზღვარგარეთიდან რომ ჩამოვიდა, გვისაყვედურა კიდეც, ენერგიულად ვერ ებრძოდით ავანტიურებს და ბანდიტურ გამოსვლებსო, ჩვენ უნდა შევქმნათ მტკიცე ორგანიზაციებიო, ამბობდა, მაშინ ავანტიურის საფრთხე აღარ იქნება ჩვენი პარტიის წრეებშიო).

საქმე ამაში არ არის ვიმეორებ. კუზმა პრუტკოვი გვირჩევდა,—смотри в корень вещей—და როცა ფესვებში ჩაიხედავს, ხშირად მიფიქრია, რომ შეიძლება რაღაც გამოუვალ რგოლში მოვექეცი, და, მართალია, არ გინდა, წინააღმდეგი ხარ, მაგრამ... საწინააღმდეგო არაფერი გექნება, თუ **ანი** შეშლილ კილოზე გაქვს აღებული, **ბანიც** შეშლილათ გამოგივა. თუ წინ ფეხწამოსაკრავი ქვა გიდევს, რაც უნდა უფრთხილდე, ბოლოს იქნება, ფეხს მაინც წამოკრავ.

ჩვენი პარტიის ტაქტიკაში არის შეშლილი **ანი**, არის ფეხწამოსაკრავი ქვა, და სწორედ ამაზე მინდა ვთქვა, რასაც ვფიქრობ.

2. პრინციპი და შესაძლებლობა.

10 აპრილის რეზოლიუციას საძირკვლად უდევს ორი პრინციპი. ერთი დაპირდაპირება („დემოკრატიზმის გზით სოციალიზმისაკენ“), მეორეა თანამშრომლობა და შეთავსება საბჭოთა სისტემასთან. ამაში წინააღმდეგობაა, რასაკვირველია, მაგრამ ჩვენ გვეგონა ყოველდღიური საქმიანობის ნიადაგზე თანდათან წაიშლებოდა წინააღმდეგობა. ეს არ მოხერხდა, ასე ადვილად და ერთბაშად ვერ გადალახავდი იმ უფსკრულს, რომელიც ამოითხარა ომამდის და ომის დროს. უფრო გადიდებულად გვეჩვენებოდა ორივე მხარეს თითეული მუხლი, სტრიქონი, პრაქტიკული ნაბიჯი, ყოველივე ის, რაშიაც იყო დაპირდაპირება. მთავრობამ იფიქრა, რომ ჩვენ თანამშრომლობას გამოვიყენებდით მათი დასანგრევად, ძირის გამოსათხრელად. დაიწყო დევნა-ბრძოლა, უფსკრული უფრო და უფრო ითხრებოდა. ჩვენი პარტიის წევრებში ბუნებრივად ფეხმოკიდებული შეიქნა პირველი პრინციპი 10 აპრილის რეზოლიუციის. ბრძოლა ძალაუფლებისათვის გახდა თავი და თავი. ამ აზრს თავისთავად უნდა მიკვროდა ის ფიქრი, რომ საქართველო იურიდიულათ ცნობილია, და ამას უნდა მობმოდა იმედები ევროპიდან. აი ეს გამოვიდა ჩვენი შეშლილი **ანი** და ფეხწამოსაკრავი ქვა.

---

*) სხვათაშორის ითქვას, რუბენი ნოე ხომერიკს იხსენიებს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეთ, ალბად, იმ აზრის დასამტკიცებლად, რომ მის ხელში ნახული მასალები და ცენტრალური კომიტეტის ხაზი ერთი და იგივეა. მე ვაცხადებ, რომ ცენტრალური კომიტეტი ვერ აიღებს ამ შემთხვევაში თავის თავზე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, არ ჰქონებია მსჯელობა არც იმ თეზისებზე, არც იმ მიწერ-მოწერაზე. მე თითონ ეს მასალები პირველად ვაცნობი ამ ოთხ კედელში. მაგრამ ჩემ განცხადებას, რასაკვირველია, ფორმალური მნიშვნელობა აქვს მხოლოდ.

წინდაწინ ნათქვამი გამიმართლდება ხოლმე ხანდისხან. ბათომიდან დაწყებული სულ იმას ვიძახოდი, ევროპა ჩვენთვის თითს არ გაანძრევს, ტყუილ იმედებზე უარესი არაფერია მეთქი. მაგრამ კაცს სჯერა მხოლოდ ის, რის დაჯერებაც უნდა. ამ დაჯერებით, ხმებით, „ახალი ამბებით“ იყო გაჟღენთილი პოლიტიკური ჰაერი საქართველოში, როცა ჩვენმა პარტიამ ორიოდე თვის რყევის შემდეგ, დაიწყო არალეგალური მუშაობა. მე გვიან ჩამოვედი სამუშაოთ. ცენტრალური კომიტეტის პირველ კრებაზედვე გამოვთქვი ჩემი ეჭვები. შევეკითხე ამხანაგებს,—რა არის ჩვენი მუშაობის გამოსავალი წერტილი, რას ვეძებთ და რისი იმედი გვაქვს ჩვენ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ საქართველო იურიდიულათ ცნობილია და ამიტომ ევროპის სახელმწიფოები თავს გამოიდებენ, ეს შეცდომაა. ევროპა განიცდის, ვამბობდი, ეკონომიურ კრიზისს და უთუოთ ერჩევნება, რომ რუსეთთან იქონიოს სამეურნეო ურთიერთობა, როგორც მთლიან ერთეულთან. საქართველოს გულისათვის კონფლიქტს არავინ გამოიწვევს, პრიციპიალურად რომ მისაღებიც იყოს ეს ჩვენთვის-თქო.

ამხანაგებმა მიპასუხეს, კონფლიქტზე არავინ ფიქრობს, ჩვენთვის სასურველია მხოლოდ ევროპის მუშათა კლასის საზოგადოებრივი აზრი, მისი გავლენა რუსეთის კომუნისტურ პარტიაზე, ისე, რომ მშვიდობიანათ გადაწყდეს ჩვენი საკითხი. მაჩვენეს ახლათ მიღებული წერილი ნ. ჟორდანიასი. იწერებოდა,—**აქაური მუშების თანაგრძნობა საქართველოს მხარეზეა. მაგრამ გვეკითხებიან, იქნება რაც დრო გადის ქართველი მუშები და გლეხები ურიგდებიან ბოლშევიკებსო: მოგვაწოდეთ ხოლმე ნამდვილი ცნობები მოძრაობის შესახებო, ხწერდა ნოე, უფრთხილდით კი, რომ მოძრაობა არ ჩავარდეს უკიდურესობაშიო.**

პრინციპიალურათ ამაში არაფერი იყო მიუღებელი. ევროპის მუშებმა უნდა იცოდენ, რა ხდება საქართველოში და მომზადდეს მათი საზოგადოებრივი აზრის გავლენა რუსეთის კომუნისტურ პარტიაზე. მაშინ მოხდა სამი ინტერნაციონალის თათბირი, რომელმაც მიიღო დადგენილება კომისიის შესახებ საქართველოს საკითხში.

მაგრამ პრინციპი სხვაა, შესაძლებლობა სხვა. ჩემში ლაპარაკობდა ურწმუნო თომა. ღვთის წინაშე ერთი დაჯერება დავიჯერე სამი ინტერნაციონალის შეთანხმება, მერე კი ვთქვი, ჩაიშლება მეთქი და ჩაიშალა კიდეც.

მერე ჰამბურგის კონგრესს ელოდა ჩვენი ცენტრალური კომიტეტი. მივიღეთ მისი რეზოლიუციებიც და იგივე დადგენილება საქართველოს შესახებ, ისევ სურვილათ და უკვე უფრო სუსტათ გამოთქმული. ცხადი იყო, რომ უბრალო თანაგრძნობაც ველარ იქნებოდა იქიდან წინანდულათ მკაფიო და ხმაამაღლებული. რას ნიშნავს ევროპის მუშათა კლასისათვის საქართველოს საკითხი, როცა იმას თავისი გასაჭირი და თავისი სამკვდრო სასიცოცხლო კითხვები აქვს, როცა ბეწვზე კიდია თითონ ევროპის ბედიღბალი-თქო,—ვამბობდი.

ერთი სიტყვით, მშვენიერი პრინციპიალური ხაზი უხეირო გამოდგა საქმეზე. ოთხკუთხიანი რგოლის დახატვა არ მოხერხდება. ერთი მხრივ დაპირდაპირება—**ან მე ან შენ**, მეორე მხრივ ამის გადაჭრა მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკებით, შერეული კომისიებით,—ეს ძალიან წააგავს ოთხკუთხიან რგოლს.

ამ ერთი წლის წინეთ ერთ ამხანაგს ვკითხე,—ახლა ხომ მაინც ხედავს ყველა, რომ ევროპის იმედებით შორს ვერ წავალთ მეთქი. —კი, მაგრამ ხალხს მაინც იმის იმედი აქვს. ის, ნ. ჟორდანია, რომ არის წასული, ტყვილა არ იქნება იქ, რამე გაკეთდებაო. ამის საპასუხოთ მე მოვიყვანდი ერთ სტრიქონს ნ. ჟორდანიას ერთი წერილიდან,—**საუკეთესო პოლიტიკაა საქართველოსთვის ის, რომელიც გარეშე იმედებზე არ დაემყარებაო.**

მაგრამ რა უნდა ქნა, თუ ეს იმედები წაგერთვა, რას იზამ, როცა გამოსავალ წერტილად გაქვს დაპირდაპირება,—**ან ჩვენ ან ბოლშევიკები** და საამისო ძალა კი არ შეგწევს? მაშინ მაინც გარეთ გეკავება თვალი, გულში გაივლებ,—პრინციპიალურათ წინააღმდეგი ვარ და გამეხარდება კიო... არ შეიძლება, რომ აქ ფეხი არ წამოკრას პატრიოტიულმა აზრმა, რეზოლიუციებს, განცხადებებს ინტერვენციის წინააღმდეგ დაეკარგებათ მნიშვნელობა. ეს გამოვა ისე, როგორც ბოლშევიკები გვარწმუნებდენ 1920 წელს, არავითარ აჯანყებაზე და რუსეთიდან შეიარაღებული ძალების ჩარევაზე არ ვფიქრობთ საქართველოშიო.

საქმე იმაშია, რომ თუ მეტი გზა არ გვაქვს, რაც უნდა ილაპარაკო, ვერ აცდები და მეტი გზა არ გექნება თუ არ შეიცვალე გამოსავალი წერტილი. ამ წერტილის შეცვლა კი მაშინ მოხდება, როცა დარწმუნდები, რომ სინამდვილე არ იძლევა არავითარ საფუძველს არც გულში ჩამალული იმედებისათვის.

3. შესაძლებელია თუ არა ინტერვენცია?

დავანებოთ ამიტომ თავი პრინციპებს და შევხედოთ ინტერვენციის საკითხს კონკრეტიულათ, ხელმოსაკიდებლათ.

ისე, ზეპირათ რომ ვთქვათ, ინტერვენცია საფიქრებელია ორნაირი, ან უშუალოთ, თითონ საქართველოში, ან შორიდან მოვლით, რუსეთში, და ამითი ისარგებლებს საქართველო.

ერთი მაინც ცხადი უნდა იყოს ყველასათვის ამ სამი წლის შემდეგ, და ახლა, მგონია გულშიაც არავინ გაივლებს, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოები კაცთმოყვარული გრძნობით არ ჩაერევიან საქართველოს საქმეებში, ინგლისს, საფრანგეთს თითონ ჰყავთ სხვა და სხვა ალაგას ჩაყენებული ჯარები და ამისთანა „უქკუობას“ არ ჩაიდენენ. საკითხი შეიძლება იდგეს მხოლოდ დაინტერესების მხრივ. არის თუ არა ამიერ-კავკასია ეკონომიურათ საინტერესო ევროპის სახელმწიფოებისათვის?

ბაქოს ნავთი. ამაზე ბევრს მოუდის პირში ნერწყვი და ბევრს ექავება ჯიბე. მაგრამ ჯერ ერთი, ვერ მორიგდებიან ერთმანეთში, არა მე არა შენო, მეორე უდავო იქნება ყველასათვის, რომ ბაქოს ნავთზე მუშაობა უმჯობესია რუსეთთან შეთანხმებით. სულ წასართმევათ რუსეთი ამ სიმდიდრეს არავის დაანებებს და პირველი მეომარი გახდება რუსეთის მუშა და გლეხი. რას ნიშნავს ბაქოს ნავთის წართმევა იქაური მუშა-გლეხისათვის? ეს იქნება მისი ულუკმაპუროთ დატოვება. სიცოცხლეს შეალევს და არ მოეშვება. რამდენათ უნდა გადავვეარდეთ ჩვენ, როგორც სოციალისტური პარტია, რომ სასურველათ მივიჩნიოთ ამისთანა საომარი მდგომარეობა. და განა ეს შესაფერისი იქნება საქართველოს ეროვნული ინტერესებისათვის, განა მოსვენება ექნება ჩვენ ხალხს, რომ მუდამ გადამტერებული სახელმწიფო გვერდზე ეყოლოს?

უბრალო ანგარიშიანი მოსაზრების საქმეა. მეტს წააგებს, რომელი ქვეყნის კაპიტალიც უნდა იყოს, თუ ბაქოს ნავთზე ხელი გააშვირა რუსეთთან შეუთანხმებლათ.

ჭიათურის შავი ქვა. ესეც დიდი განძია. მაგრამ ჩვენ ვიცით უკანასკნელ წლებში საერთაშორისო ბაზარზე ჭიათურა ველარ უძლებს ინდოეთის და ბრაზილიის შავ ქვას. არ ვიტყვი, რომ ჭიათურას დიდი მომავალი არ აქვს. მინდა ვთქვა მხოლოდ, რომ ბაქოს ნავთთან შედარებით აქ უფრო ნაკლები საფუძველი აქვს უცხოეთის კაპიტალს რუსეთთან ასახირებლათ. ის დაიწყებს ჭიათურაში გულდადებით მუშაობას, როცა აღარ ექნება შეჯახებების ეჭვი რუსეთს-საქართველოს საზღვრებზე.

საფრანგეთის რადიკალური ბურჟუაზიის მეთაური ერიო ძალიან ექომაგებოდა საქართველოს, ორი წლის წინეთ მისი წერილი იყო ჩვენ „თავისუფალ საქართველოში“. ბევრ რამეს ხედავდა საინტერესოს აქ საფრანგეთის კაპიტალისთვის. გავიდა რამდენიმე თვე, ერიომ იმგზავრა რუსეთში და პირველი მომხრე შეიქნა იმასთან სავსებით მოწესრიგებული ურთიერთობის, ის ახლა საქმიანი „მეგობარია“ რუსეთის. კითხეთ ახლა, როგორ ურჩევნია ერიოს, საფრანგეთის ბურჟუაზია წამოვიდეს ჩვენსკენ ისე, რომ კონფლიქტი მოხდეს რუსეთთან, თუ შეუხმატკბილდეს რუსეთს და ისე მოაწყოს თავისი საქმიანობა აქაური ბუნებრივი სიმდიდრის გარშემო. ერიო ანგარიშის კაცია, მოიფიქრებს, სად მეტს წააგებს, სად მეტს მოიგებს და უთუოთ აირჩევს მეორე გზას. ასე მოიქცევა ყველა იმის ალაგას.

დიდი მეგობარია ჩვენი გერმანიის სოციალდემოკრატია. მისი თანაგრძნობა საქართველოს არ მოკლებია, მაგრამ ურჩევნია მშვიდობიანი სავაჭრო-სამრეწველო კავშირი ჰქონდეს რუსეთთან. გერმანელი მუშა არ იტყვის, რუსულ პურს არ ვჭამ, სანამ რუსის ჯარი დგას საქართველოშიო.

დიდი მეგობარი გვყავს ინგლისის მუშათა პარტია. მისი მეთაური მაკდონალდი მოკლე ხანში იქნება სახელმწიფოს სათავეშიც მოექცეს. უთუოთ გაახსენდება საქართველო, დასწერს ერთ წერილს, ორს, სამს. როცა კი საქმე საქმეზე მიდგება, ის ჯერ შეხედავს თავის ქვეყანას. იქ არის ეკონომიური კრიზისი, უმუშევრობა და ვინ იცის რამდენი საჭირბოროტო კითხვები. იტყვის, რომ თავი და თავი საქმეა ინგლისისათვის მშვიდობიანობა გარშემო, კერძოთ, ხეირიანი მიმოსვლა, აღებ-მიცემობა რუსეთთან. საქართველოს გულისათვის ის არ გაამწვავებს ურთიერთობას, ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამს, რომ გაამწვავოს.

სოციალისტიც ფხიზელი ანგარიშის კაცი გახდება, როცა ის სახელმწიფო სადავეს მოკიდებს ხელს. მისთვის მაშინ აღარ არსებობს პოლიტიკური პოეზია, მისი მთავარი სუნთქვა

მაშინ ეკონომიური პროზაა. ჩვენ უნდა შევითვისოთ ის აზრი, რომ არც ერთი სახელმწიფოს ინტერესი, სოციალისტური იქნება თუ ბურჟუაზიული, არ მოითხოვს საქართველოში ჩარევას რუსეთთან აყალმაყალის ატეხით. პირიქით, ოთეული მათგანი არჩევს მოეწყოს ამიერ-კასკასიის ბუნებრივ სიმდიდრეზე, მშვიდობიან პირობებში მუშაობას დაიწყებს აქ მაშინ, როცა გულდაჯერებული იქნება, რომ რუსეთი სრულიად არ შეუშლის ხელს, მეტს ვიტყვი, აქ რომ მოძრაობა იქნეს, ან რამე ექსცესები და არ ეწყობოდეს მშვიდობიანი მუშაობა, მაშინ უცხო სახელმწიფო მიემხრობა რუსეთს აქაური მოძრაობის წინააღმდეგ.

ვთქვათ, დავუშვათ ესეც, საქართველოში მოხდა აჯანყება და დღევანდელ მმართველ პარტიას გამოეცალა ხელიდან ძალაუფლება. დაეხმარება თუ არა ევროპა საქართველოს, როცა დაინახავს ამ ფაქტს, მისცემს თუ არა, მაგალითად ფულს? ცხადია ამ შემთხვევაშიც ის შეუდგება ფხიზელ ანგარიშს. სანამდის თავის ყუთის საკეტში გასაღებს ერთჯერ გადაატრიალებს, ცხრაჯერ იფიქრებს,—მივცე?... რომ დამეკარგოს?... რა ვიცი ხვალ რა მოხდება იქ, იქნება ისევ რუსეთმა ჩაიგდოს ხელშიო, და სხვა. კაპიტალისტი დაიწყებს ყურებას, ცდას. იანგარიშოს, ვისაც უნდა, რამდენ ხანს დასჭირდება ცდა, როდის დარწმუნდება, რომ საქართველო სამუდამოდ უზრუნველყოფილია რუსეთის მხრივ. საქართველოს თავისი გადაუწყდება ამასობაში, არავინ არაფერს არ მისცემს, შეპირდება და მოატყუებს. მერე, საქმე ხომ იმითი არ უნდა გათავდეს, რომ ერთჯერ რაღაცა გადმოუგდოს. საქმეა, დაიჭერს თუ არა მაშინ ევროპა საქართველოსთან ეკონომიურ მოწესრიგებულ კავშირს? არ დაიჭერს ყოველივე ზემოთ მოყვანილ მოსაზრებით. მთელი საუკუნეც რომ გავიდეს, უცხო კაპიტალს შიში ექნება,—ვაი თუ რუსეთმა არ დამაცალოსო. თუ გასკდა როგორმე მიწა და ჩავარდა რუსეთი თეთრი ზღვიდან ყაზბეგის მთამდე, მაშინ სხვა იქნება. მაგრამ რამდენადაც ვიცი, ამისთანა მიწის ძვრას არავინ არ ელის რუსეთის თავზე.

ახლა მეორენაირი ინტერვენცია. იყო ერთი მომენტი: გეერმანიის რევოლიუცია, სამოქალაქო ომი გერმანიაში. შეიძლებოდა ან კომუნისტები გამეფებულიყვნენ იქ, ან უკიდურესი მემარჯვენე ფაშისტები. ორივე შემთხვევაში ატყდებოდა საერთაშორისო ალიაქოთი. დატრიალდებოდენ საფრანგეთი, ინგლისი, პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია, რუსეთიც ჩაერეოდა. რასაკვირველია, აფათურდებოდნენ რუსი მონარქისტები.

დღეს ყველაფერი ეს წასული საქმეა. გერმანიაში ჯერ-ჯერობით გამარჯვებულია, ასე დავარქვათ, მემარცხენე ფაშიზმი, ზომიერი. რუსეთის წინააღმდეგ ხელის ფათურში ის მხარს არვის დაუჭერს. ის მოინდომებს საქმიანი ეკონონომიური კავშირის გაგრძელებას.

არის აღმოსავლეთის საკითხი. აქედანაც მოდიოდა, ვითომ, რუსეთის ცაზე შავი ღრუბელი. ახლა ეს კითხვაც დაშოშმინებულია. ოსმალეთი შეუთანხმდა ევროპის სახელმწიფოებს, მაგრამ არვის არ უნდა ეფიქრა, რომ ის ამიტომ გადაეკიდება რუსეთს. რა იქნება შორეულ მომავალში ვინ იცის, ჯერ კი დღევანდელი რუსეთის მეგობრობა საჭიროა ოსმალეთისთვის.

მარქსი და ენგელსი სწერდენ,—ევროპის რევოლიუციონური დემოკრატიის და ინგლისის ინტერესი მოითხოვს, რუსეთი არ მიუშვან შავი ზღვის პირებზეო. (Gesammelte Schriften von Karl Marx unb Fr. Engels) ამას სწერდენ ისინი გასული საუკუნის მე-50-ე წლებში. დათვალეთ, რამდენი წელიწადი გავიდა მას უკან. კიდევ ამდენი გავა და აღმოსავლეთის საკითხი იდება იქვე, სადაც ახლა დევს. ევროპის რევოლიუციონური დემოკრატიის რა მოგახსენო, და ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობა კი დიდხანს არ მოისპობა. მაგრამ რა? იქნება კონფლიქტები, დიპლომატიური დამუქრებები, კონფერენციები. ინგლისში მოდის მუშათა პარტია, და ვინც უნდა მოდიოდეს, ისეთ დავიდარაბას აღარავინ აუტეხს რუსეთს, რომ არ მიუშვას შავი ზღვის პირებზე.

ვერავინ იტყვის, რა თქმა უნდა, რომ ომი სულ აღარ იქნება აწი. აღმოსავლეთის კითხვაც ჩაირთვება მაშინ სხვა კითხვებში, როცა კაცობრიობა დადგება ახალი ომის წინაშე. მაგრამ ეს არ იქნება ომი რუსეთის წინააღმდეგ. ეს იქნება სხვადასხვა სახელმწიფოთა ჯგუფების ომი ერთი მეორის წინააღმდეგ. ისახება გადაჯგუფება, გადაკავშირება. რუსეთი შეევა რომელიმე კავშირში. რაც უნდა ფანატიკოსი შოვინისტი ქართველი აიღო, წინდაწინ ვერ გეტყვის, სად ერჩევნება მაშინ საქართველოს რუსეთთან, თუ რუსეთის წინააღმდეგ. ჩვენთვის აშკარა უნდა იყოს დღეს მხოლოდ ერთი. არ არის მოსალოდნელი პოლიტიკური კოალიცია რუსეთის წინააღმდეგ. არ არის საფიქრელი არც ერთი სახელმწიფოს გალაშქრება რუსეთზე.

ევროპა უცდიდა, ნიადაგს უსინჯავდა, ფეხმომაგრებულია თუ არა რუსეთის მთავრობაო. ეს ცდა, ლოდინი დიდხანს აღარ გასტანს, მე მგონია, იცნობენ რუსეთს. ყოველ შემთხვევაში შეურიგებლობა აღარ არის ისე ძლიერი, როგორც იყო. კონსერვატორების დამარცხება ინგლისში, იტალიის უკანასკნელი გადაწყვეტილება, ამერიკის პრეზიდენტის დეკლარაცია, პოლონეთის განცხადება საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ, საფრანგეთის ახლანდელი ფიქრები გერმანია-რუსეთთან კავშირის შექმნაზე, სავაჭრო შეთანხმება რუმინიასთან,—ყოველივე ეს მოწმობს, რომ ევროპის სახელმწიფოების აზრი შეტრიალებულია რუსეთის ცნობის სასარგებლოდ. არის, მართალია კიდევ ყოყმანი, ბორძიკი, მაგრამ ამითი მხოლოდ კითხვა რთულდება, საშორიოთ იდება. უკუღმა ხაზის შეტრიალება კი, რომ ევროპაში ისევ ააღორძინონ იარაღი ინტერვენციისთვის, ეს აწი შეუძლებელია.

მოსალოდნელი იყო რუსეთის ეკონომიური ჩავარდნა. შარშან, შარშაწინ, მართლა, საეჭვო მდგომარეობა ჰქონდა ამ მხრივ. მოსავალმა გამოაკეთა მისი საქმე. ეხლა ეს ყურება-მოლოდინიც დროს დაკარგვაა მხოლოდ ევროპისთვის, მით უფრო, რომ გაცვლა-გამოცვლა საქონლის გატან-გამოტანა მაინც აქვს რუსეთთან. ეს ეყოფა რუსეთს, ამითი ის ჯერ-ჯერობით სულს იბრუნებს და შეუძლია თითონაც უცადოს უკეთეს დროს.

სესხი სჭირდება მსხვილი მრეწველობის აღსადგენათ. ახლა რუსეთის ეკონომიკაში კითხვა დგას განვითარდება ეს მრეწველობა, თუ გადაკეთდება, გადაეწყობა შინაური, საგლეხო ბაზრის მოთხოვნილებაზე. აღარ არის მოსალოდნელი რუსეთის ეკონომიური ჩავარდნა, მოსალოდნელია, მხოლოდ, რომ მისი მეურნეობა ვერ იწინმსვლელებს მსხვილი სახელმწიფო კაპიტალიზმის ლინდაგზე და დაწვრილდება. ეს საკმაო იქნება, ასე ვთქვათ, თავის გასატანათ ათეული წლობითაც, რამდენათ ნაკლები ექნება რუსეთის ეკონომიკას წყაროები გარედან, იმდენად უფრო დაიწვება იმას, რაც თავისი კავშირის ფარგლებში მოეპოვება. ამ ნიადაგზე უფრო მოსალოდნელია ცენტრის დაწოლა განაპირა ქვეყნებზე. ასე რომ ეროვნული დამოუკიდებლობის მხრივაც, სასურველია რუსეთის ცნობა ევროპის სახელმწიფოების მიერ და რაც მალე იცნობენ, მით უკეთესია.

ვის ვეკამათები?! ჩვენი პარტია ხომ ყოველთვის მომხრე იყო რუსეთის ცნობის. ჩვენი მთავრობა ხომ არ გარეულა საზღვარგარეთ მონარქისტების, კადეტების და ესერების აგიტაციაში ცნობის წინააღმდეგ. ჩვენი მთავრობის საგულისხმოთ არ იყო ხომ გამოტანილი მეორე ინტერნაციონალის დადგენილება ჰამბურგში,—დაუშვებელია რეაქციასთან დაკავშირება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგო. ჩვენი მთავრობა ხომ მეორე ინტერნაციონალზე მარცხნივაც იდგა ამ საკითხში, უაბლოოდებოდა ვენის ინტერნაციონალს.

მაგრამ ფაქტია ის, რომ ჩვენი მთავრობა საზღვარგარეთ არის, როგორც მთავრობა. ამ ფაქტიდან, გვინდა თუ არა, თავისთავად გამოდის ტყუილი იმედები, და მე ვეკამათები ამ იმედებს.

რაღაცა ეშმაკათ, როცა ახალ გზებს ვეძებ, ბურჟუაზიული მწერლები მხვდებიან ხოლმე ხელში. მაშინ ნიტის სიტყვები მოვიყვანე. ახლა ვათვალიერებ ყოფილი ავსტრიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრის ჩერნინის მოგონებებს („В дни мировой войны", გამოცემა რუსეთის სახელმწიფო გამომცემლობის) წავაწყდი შემდეგ სტრიქონებს: „В политике нет ничего опаснее верить в то, во что хочется нет принципа более рокового, чем не желание видеть правду и утешение себя утопическими иллузиями, которыя должны рано или поздно разбится об ужасную действительнесть (გვ. 165) ვისი ნათქვამიც უნდა იყოს ეს აზრი, მე მგონია, ყველასთვის მისაღებია, და მეტადრე ზედგამოჭრილია ჩვენთვის.

ტყუილ იმედებში გადაგვარდება სახე. თუ ვერ მოვიშორე თავიდან ის აზრი, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა მაინც და მაინც ნიშნავს, ჩემ ხელში ძალაუფლების დაბრუნებას, უთუოთ გადავსახიერდები და ჯერ ისე გულში ჩადებულათ, მერე გულახდილათაც მომხრე გავხდები იმისი, რისიც წინააღმდეგი ვარ პრინციპიალურათ. თვალწინ მიდგას ეს საფრთხე—ეს მეორე სახე ჩვენი პარტიის და იმას ვეკამათები.

წერილი მეორე

4. კართაგენი უნდა დაინგრეს!

ტყუილი იმედებისაგან სხვებს ვაფრთხილებდი, და ერთხელ მეც დამემართა სირცხვილი. დამაჯერეს. 1921 წელს ზაფხულზე სოფელში ვიყავი, ერთ ნაშუადღევს კარზე მომადგა ამხანაგი. ბათომიდან მივდივარ თბილისშიო, მითხრა, განგებ გავჩერდი, რომ შენახეთო. სადგურიდან ჩემ სოფლამდე ხუთი ვერსია, ის საძაგელი აღმართები გადმოაბიჯა იმ კაცმა სიცხეში, რომ მოეტანა ჩემთვის შემდეგი ახალი ამბავი: „ჩვენები ბათომში არიან, ჩემი თვალით ვნახე, 25—ივლისამდის ჰქონდათ ვადა ბოლშევიკებს, მიდიან, სამი დღის იქით ტფილისში იქნებიან ჩვენებიო“. სწორეთ იმავე საღამოს ტფილისიდან მივიღე წერილი, ერთი ახლო ამხანაგი მწერდა,—აქ საკითხი გვიდგას დროებითი მთავრობის შესახებ, აზრთა სხვადასხვაობაა, ზოგი კოალიციურს ამბობს, რას ფიქრობო, მეორე დღეს ახალ გათენებულზე მესტუმრა ერთი ამგანაგი ზესტაფონიდან,—გამომგზავნეს რომ მოგილოცოთო, მითხრა, ბათომიდან მოდიან, მთელი ზესტაფონი გარეთაა, მღერიან დიდებას, ერთმანეთს ულოცავენ, რევკომი გაიქცაო.—ეს გითხრეს, თუ თითონ ნახე, ვეკითხები.—კი, ჩემი თვალით, წუხანდელ ამბავს გეუბნებითო, იქიდან პირდაპირ თქვენთან წამოველი, არ მიძინიაო.

მოდი ნუ დაიჯერებდი ასე შეწყობილათ ერთი მეორეზე გადაბმულ ამბავს. ორი დღის შემდეგ კი მოვედი ისევ ჩემ ჭკუაზე. ეს მაგალითი საუკეთესო დამამტკიცებელია იმისი, რამდენათ იცვლება კაცის თვალში სინამდვილე, როცა ტყუილი იმედების სათვალით იყურება ის, რა გასაკვირველი იქნება, რომ შეგვეცვალოს რწმენა, პრინციპები მეტადრე ძველი 25—30 წლის წინეთ მიღებული პრინციპები. მე ვხედავდი, რომ ამაშია ფესვები ჩვენი პარტიის კრიზისის. როცა ვთქვი,—არ შეიძლება ყველაფერის ახსნა ჩეკის ძალდატანებით, ამხანაგებს ეწყინათ. მე კი სირცხვილით ვერ ვიტყოდი, ძალდატანების მეტი არაფერია თქო. რათ მინდა იმისთანა პარტია, რომელშიაც ათასობით დაიფანტებიან ჩეკის შიშით. მოგვდიოდა არალეგალური მეორენაირი განცხადებები, პარტიის ერთგული ვრჩებითო. მაგრამ ვფიქრობდი,—ვაი თუ ეს იმიტომ, რომ კიდევ რაღაცას ელიან „იქიდან“ და სხვა დროისთვის უნდათ გამოიყენონ ეს განცხადებები. გავა, ვამბობდი, კიდევ რამოდენიმე თვე, წელიწადი, „იქიდან“ არაფერი იქნება, და ვაი თუ მოუნდეთ ისევ სხვა განცხადებების წერა, კაცი რომ ყოველი შემთხვევისთვის ხან ერთ საგზალს აიკიდებს ზურგზე, ხან მეორეს, აღარ ვარგა პოლიტიკური პარტიისთვის და აღარაფრათ ეღირება თითონ პარტია, თუ არ შეიცვალა ღერძი, რომლის გარშემოც ის ტრიალებს.

ამიტომ დავაყენე მაშინ საკითხი ახალი გზების შესახებ. პირველათვე ვთქვი, უნდა მოისპოს თითონ პრინციპი დაპირდაპირების, პრინციპი **ან მე ან შენ**. აუარებელი შეკითხვები, წერილი მოვიდა მაშინ ცენტრალურ კომიტეტში. სჩანდა, რომ ამხანაგების აზრით შეუცვლელი უნდა დარჩეს მთავარი კილო—დაპირდაპირება და შეურიგებლობა. სჩანდა, რომ ძალიან სამწუხარო იქნებოდა მათთვის, თუ მე პირადათ შევიცვლიდი ამ კილოს.

ტაქტიკაც ანგარიშზეა და ვიანგარიშოთ. გამოსავალ წერტილს ხელს არ ახლებ, კილოს შეცვლა არ გინდა, პერსპექტივები კი არა გაქვს, სწორი გზა არ მოგეძებნება არც იქით, არც აქეთ. რა უნდა ქნა მაშინ? არ უნდა მიაჭირო შუბლი კედელს და აბაკუნო ფეხები ერთ ალაგას? გულზე ხელს ირტყამდე,—მაგათი ასე და ასეო,უშინაარსო ლანძღვა გინებით გულს იოხანდე, ან ფეხი უნდა აგიცდეს ავანტიურებისაკენ,—ჯანაბას, რაც იქნებაო, და ვეღარ ერკვეოდე ბრძოლის საშუალებებში.

ამის მეტი გზა რომ არ იყოს, მე, როგორც პატრიოტი მენშევიზმის, ვიტყოდი,—მაშინ უკეთესია სულ მოისპოს მენშევიკური პარტია საქართველოში. ზეზეულათ წახდენას მე მირჩევნია თვითმკვლელობა.

არ ვიცი, რამდენათ მართალია ის, რაც მითხრეს აქ გორის ორგანიზაციის შესახებ. ვფიქრობ, შესაძლებელია. ვიცი, რომ საორგანიზაციო საკითხები ებარა ნოე ხომერიკს. ვიცი, რომ ის ყოველთვის ამბობდა,—არამც და არამც ჩვენი ამხანაგები არ უნდა გაერიონ გახიზნულ რაზმებშიო და უფრო უკეთესი იქნება თუ სულ მოიშლება ეს რაზმებიო. მაგრამ არ კმარა თქმა. როცა აძლევ მარტო შეურიგებლობის ხაზს და პერსპექტივებზე კი უკაცრავათ ხარ, რაც—უნდა ილაპარაკო არარაფერი გაგივა. როცა საძირკველი ვერ არის საიმედოთ დადგმული, კედლებს ვეღარ დაამაგრებ. როცა ტაქტიკაში გაქვს რაღაცა წამჯიკავებელი, ვეღარ ეტყვი კაცს, არ წაიბორძიკოო. თავს შეიკავებს ერთ წელიწადს, ორს, სამს და როცა იქნება წაიბორძიკებს.

აი ამ ფესვებიდან ვუდგები მე საკითხს და ვფიქრობ, სულ ერთია უნახეს თუ არა ვინმეს თეზისები, მიწერ-მოწერა და სხვა. სულ ერთია, აღმოაჩნდა თუ არა ვინმე მოკლულს ჯიბეში რაღაც საბუთები. მე არ შემიძლია დავსვა კითხვა ასე, სასამართლოს წესით. მე უნდა ვთქვა, რომ აზრი და გრძნობა იმ კაცის, რომელმაც ავანტიურისკენ წაიბორძიკა, აღზრდილია შეურიგებლობის, მტრობის პრინციპზე. პასუხისმგებელია ის, ვინც ვერაფერს ვერ აძლევს იმ პრინციპის მეტს, ვინც ვერ აძლევს სხვა პერსპექტივებს. პასუხისმგებელია პარტია, სულ ერთია არის თუ არა ის რომელიმე ფორმალური საბუთით დაკავშირებული იმ წაბორძიკებულ კაცთან. ასე უნდა ვთქვა მე, თუ არ მომკლებია მარქსისტული გაგება მოვლენების, თუ არ გამოვდივარ საკითხში, როგორც მოსამართლე, ბრალმდებელი, ან ვექილი.

გრიბოედოვის გმირი იყო, ერთ ოთახში მიდიოდა, მეორეში შევიდა. იმასავით გვემართება, ვითომ რევოლიუციონური შინაარსი გვაქვს ჩადებული ჩვენ შეურიგებლობაში და წაღმა მივდივართ, უკუღმა სიარული კი გამოგვდის, გავბუტულვართ ამდენი ხალხი, ზოგი საზღვარგარეთ, ზოგი რუსეთში, ზოგი მეტეხში, ჩეკაში, იატაკ ქვეშ, ვწყდებით ცოცხალ საქმეს. ის ნივთიერი და ცოცხალი ძალა, რაც ძალაუფლებისთვის ბრძოლაში იხარჯება, ის რომ ცოცხალ საქმეს ხმარდებოდეს, წაგებული იქნება ჩვენი პარტიული თავმოყვარეობა, მაგრამ მოგებული გამოვა საქართველო, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. მარქსმა სთქვა, თუ ბებელმა,—ერთი პრაქტიკული ნაბიჯი მუშათა მოძრაობაში თორმეტიოდე პროგრამას მირჩევნიაო, საქართველოს შესახებ უნდა ითქვას, ერთი სულ პატარა კულტურული საქმე აჯობებს ყველა იმ ფურცლებს, გაზეთებს, წერილებს, რაც გამოცემულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და რაც აწი გამოიცემა. ის ნაკლი, რაც აქვს საბჭოთა ხელისუფლებას ერთი ათად დიდდება შეურიგებლობის ნიადაგზე, მეტი საბაბი ეძლევა ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებდეს, დევნას აძლიერებს, მუდამ შეხუთული, მუდამ ძარღვ დაჭიმულ ჰაერში გულიანათ ვერავინ ეკიდება საქმეს. კარგი გვინდა, გლახა გამოდის.

აი ამ უკუღმა სიარულს უნდა დაესვას წერტილი, უნდა მოხდეს წაღმისკენ შეტრიალება. დაპირდაპირების, შეურიგებლობის კართაგენი უნდა დაინგრეს, უნდა გატყდეს ჩვენი ხელით ის ციხე-სიმაგრე, რომელიც ფეხ-წამოსაკრავ ქვათ გაუხდა ჩვენი პარტიის ტაქტიკას. უნდა ვსთქვათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა, ეს არის ბოლოს და ბოლოს ეკონომიური და კულტურული აღორძინება საქართველოსი, და ეს საკითხი უნდა ისმებოდეს, უნდა იჭრებოდეს რუსეთთან, დღევანდელ რუსეთთან თანხმობით.

ახალს არაფერს ვამბობ ამით. გაიხსენეთ ნოე ჟორდანიას დეპეშა რუსეთში გაგზავნილი გრ. ურატაძის სახელზე 1920 წელს, როცა გამოცხადდა მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება: სრული იმედი გვაქვს, რომ ორი ძმა ხალხი, რუსეთი და საქართველო ერთად ივლიან სოციალიზმისკენო. აზრი ეს იყო, სიტყვა-სიტყვაზე არ მახსოვს. როცა ბათომში გავიგეთ ლენინის რჩევა,—საჭიროა, უნდა შეუთანხმდენ ნოე ჟორდანიასო, ყველას დიდი იმედები მოგვეცა. მერე მოხდა ის, რასაც ვხედავთ. შეთანხმება კი არა ისეთი რაღაც უზარმაზარი აიმართა ჩვენში, რომ თვალუწვდენელ ყინულიან მწვერვალებზე უფრო ადვილათ გადავა კაცი.

მე ვგრძნობ, რა ძნელია იმის თქმა, რაც ვთქვი და რასაც ვიტყვი კიდევ, თითქო ნაფოტი მიკავია ხელში და კლდის გადაპობას ვცდილობ. ყველაფერზე უარესია ჩემთვის ამხანაგების შემოწყრომა. მაგრამ სიმართლეთ მიმაჩნია, რასაც ვფიქრობ და აი ამ სიმართლეს ვერ ვიქონიებ სულ გულში ჩახვეულათ. შეიძლება სულ განმარტოვებული დავრჩე, არ ვიცი, მაშინ მირჩევნია დავდგე იმ იდეურ სიმდიდრეზე, რომელიც მოდის მარქსიდან, ენგელსიდან, „შრომის განმანთავისუფლებელი ჯგუფიდან“, როგორც „ძუნწი რაინდი“ „ოქროს ყუთზე“ და ვიყო „самим собой“ „დედამიწა მაინც ბრუნავს... და ვიტყვი, დღევანდელ რუსეთთან, იმის კავშირში საქართველოსათვის არის საბოლოოთ მიმატებითი ნიშნები. ყველა სხვა გზებზე ისტორია იძლევა გამოკლებით ნიშნებს. მე ბევრი მითქვამს საქართველოს კოლონიათ გადაქცევის საფრთხეზე ახლანდელ პირობებში. მაგრამ ვერ ვიტყოდი, არ შემეძლო, არ შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს ეკონომიურ-კულტურულ წინმსვლელობას უკეთესი დრო დაუდგება, თუ ძალაუფლება გადმოვიდა ჩვენი პარტიის ხელში.

შედარება მე არ მიფიქრია, და ამ მხრივ უადგილო იყო—ყოფ. მენშევიკების კამათი ჩემთან. თუ შედარება იქნება, მე ძალიან მიყვარს ჩემი პარტია და მაინც, ან სწორეთ იმიტომ ვიტყვი, რომ უფრო ცუდ პირობებში ჩავარდება საქართველო, თუ ჩვენი პარტია გახდება ისევ მისი სახელმწიფოებრივი მეთაური. სამოთხის კარებზე მიგიძღვებით,—ამ დაპირებას ჩვენი პარტია ხალხს ვერ მისცემს, ამ პასუხისმგებლობას ის თავის თავზე ვერ მიიღებს.

დავუშვათ სულ უკეთესი, ვიფიქროთ, რომ ჩვენი პარტია შეძლებს რაც ვერ შესძლო ყველა სოციალ-დემოკრატიულ პარტიებზე უფრო ძლიერმა გერმანიის ს.-დემოკრატიამ, დავიმედდეთ, რომ ჩვენი პარტია შეინახავს თავის თავს ისე, რომ არ გახდება რეაქციონური ძალების უნებლიე მოკავშირე, ან ხიდათ არ გაედება საერთაშორისო რეაქციას. და ამ უკეთეს შემთხვევაშიაც საქართველოს ჩაეკეტება კარი ყოველ კუთხიდან, მეურნეობას არ ექნება სულის ამოსაბრუნებელი წყაროები არსაიდან, ქართველ ხალხს შეექნება ისეთი მდგომარეობა, რომ უნდა იქნეს სულ შეჯახებების, სულ თავდასხმების მოლოდინში, სულ თოფ ქვეშ გულს ვერ დაუდებს მშვიდობიან მუშაობას, დაეცემა შრომის ნაყოფიერება, ხალხი დაგლახავდება ქონებრივად და დაქვეითდება კულტურულად.

ოთხივე ფეხზე—უნდა იყო დაჭედილიო, იტყოდა ხოლმე პლეხანოვი. ჩვენ არ უნდა ვთქვათ,—ოღონდ ჯერ ესენი ჩამოვარდნენ და მერე ვნახოთო, არა, წინდაწინ უნდა იფიქრო, შეგიძლია თუ არა მეტი მისცე ხალხს. თუ იმედი ვერ შეუსრულე, თუ ამისოდენიც ვერ მიეცი, ხალხი მტრად გადაგეკიდება, დამარცხდები მეორედ და ეს დამარცხება იქნება უარესი.

ვიმეორებ პარტია მიყვარს და იმიტომ ვამბობ, პარტიული აზრი დაჭედილი უნდა იყოს „ოთხივე ფეხზე“, პარტიულმა აზრმა უნდა გადაიაროს შეურიგებლობის „კლდენი და ღრენი“, უნდა ითქვას პირდაპირ გულწრფელად, რომ ის **პრინციპიალურად** ხელს იღებს ძალა-უფლებისთვის ბრძოლაზე, და ამის მიხედვით შლის 10 აპრილის რეზოლიუციაში დაპირდაპირების ფორმულას:—“დემოკრატიის გზით სოციალიზმისაკენ“.

ამით შესწორდება ჩვენი შეშლილი ანი და, რასაკვირველია, მაშინ **ბანიც** უნდა გამოვიდეს სულ სხვანაირი. რამდენჯერ მიგრძვნია თავი უხერხულად, როცა კალამი მკავებია ხელში და მიწერია რამე ამ ძალა-უფლების წინააღმდეგ. შევკითხივარ ჩემს თავს:

— რა გინდა, კაცო, რომ იგინები ჩამოვარდეს ეს მთავრობა.

— არა, ვამბობ, თუ რუსეთში არ ჩამოვარდა, აქ არ ჩამოვარდება.

— მერე ფაშიზმი, მონარქია.

— რა თქმა უნდა არა, მე ვიცი რაც იქნება ფაშიზმი რუსეთში და რა ხეირს დააყრის რუსეთში გამარჯვებული მონარქია საქართველოს. ისე აიწეწება და აწიოკდება ყველაფერი, რომ ბოლშევიკებთან ერთად მოგიხდება ჩაძრომა იატაკ ქვეშ. არა, როცა, მეტადრე ეს ძალა-უფლება აწარმოებს ახალ ეკონომიურ პოლიტიკას, უნდა იყო იმასთან ერთად ფაშიზმის წინააღმდეგ. საქართველოს ეროვნული ინტერესები მოითხოვს ამას.

თუ ასეა, ვფიქრობ, არ უნდა შეუშინდე ლოღიკურ დასკვნებს და ბოლომდის უნდა მიხვიდე ამ დასკვნებში. კარგი და საფუძვლიანი კრიტიკაც უშინაარსო გინებათ გადაიქცევა. თუ მიზნათ აღარ ისახავს ამ ძალა-უფლების ჩამოგდებას, თუ, პირიქით, საჭიროთ მიგაჩნია თანამშრომლობა და ერთად სიარული ყოველივე საფრთხის წინააღმდეგ, მაშინ რაღათ გინდა ის კრიტიკა, რომელსაც შეაქვს დეზორგანიზაცია და არევ-დარევა.

აი ეს იქნება შესწორებული **ბანი**, კრიტიკა უნდა იყოს ისეთი, რომ არ მიდიოდე დაპირდაპირების გზით, სცდილობდე იმის გამოკეთებას, რაც არ მოგწონს, ძირს არ უთხრიდე არ ანგრევდე საერთო მუშაობას. სრული ჭკუის კაცი ვერ იტყვის, რაც ნაშენებია უნდა გადავაფორიაქო და საძირკვლიდან დავიწყო ხელახლა შენება სულ სხვა გეგმით. ახალს ის ვერ გააკეთებს, და—ნეტა არ დამენგრია მაინც, გაკეთებული რაც იყოო,—ინანებს.

გეგმის, სისტემის შეცვლაზე ფიქრი აღარ შეიძლება. ამაზე უნდა იმუშაო, რაც არის, ამაზე უნდა ეცადო გაუმჯობესებას, რომ მთელი სასიცოცხლო ძალა იქნეს შეტანილი საქართველოს მეურნეობაში, რომ კიდევ უფრო გაცხოველდეს კულტურული საქმიანობა. ჩვენ გვტკივა ახლა ეკონომიური სხეული, მაგრამ ყველა სხვა გზებზე გადასროლით უარესათ გვეტკინება.

მაშასადამე, უარყოფა დაპირდაპირების და კრიტიკა თანამშრომლობაზე დამყარებული. თუ ეს **ანი** და **ბანი** მივიღეთ ჩვენ არა მარტო სიტყვით, მაშინ საშუალება უნდა მიეცეს ყველას დაუბრუნდეს მშვიდობიანი დიდებით მუშაობას.

გამოჩნდება ვინმე, მე ვიცი, მართა ალექსეევნა და იტყვის,—ემმაკობს ეს შერჩენებული, უკეთეს დროს უცდისო. მე უკვე ვთქვი, ჯერ რამოდენათ მოსალოდნელია და მერე რამდენათ „უკეთესია“ სხვა დრო. ახლა უნდა ვთქვა,—ან ეს ანი და ბანი გამოდგება გზათ უკეთესი დროისაკენ საქართველოს მშრომელი ხალხისათვის, ან სხვა გზა არ არის სულ.

მსხვერპლი არ უნდა გვზარებოდეს იმისთვის, რასაც ემსახურები. სულის შეწირვაც უნდა შეგეძლოსო,—აკაკის აქვს ნათქვამი ერთ ალაგას და საქართველოს ისტორიამ იცის ამისთანა მსხვერპლი. თუ ჩვენი პარტიის სული მარტო იმაშია, რომ ძალა-უფლების დასაბრუნებლათ იბრძოლოს, დამრღვევ კრიტიკას აწარმოებდეს, მაშინ უკეთესია ჩვენი ხელით იქნეს ის სამსხვერპლოზე მიტანილი. ეს მსხვერპლი პარტიას გადაარჩენს გადაგვარებისაგან. ეს იქნება სიკვდილი, რომელსაც მოჰყვება აღდგომა ნამდვილი სოციალისტური სულის „ძველი აღთქმის“ ქერქი, სახელმწიფოებრივი ძალა-უფლებისათვის ბრძოლა უნდა მოიშოროს პარტიამ, და უნდა დაიბადოს, უნდა მოინათლოს ხელახლა.

ს. დევდარიანი.

ეკონომიური მიმოხილვა

გასული 1923 წელი ჩვენს მრეწველობაში აღინიშნება დიდი წარმატების წლად.

სამეურნეო ფრონტზე ახალ ეკონომიური პოლიტიკის გამო ჩვენ ამ წელს გვაქვს ბევრი საგულისხმო მიღწევანი.

დავიწყოთ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოდან.

ა/წ. ოქტომბრის 1 თვის ს. მ. უ. ს. განკარგულებაში იმყოფებოდა სულ 98 დაწესებულება. აქედან 28 არ მუშაობდა და 10 იჯარით იყო გაცემული. სახალხო მ. უ. საბჭოს უმეშვეო განკარგულებაში იმყოფებოდა 67 მომქმედი საწარმოვო, რომლებშიც მუშაობდა 4.681 კაცი; აქედან 4.134 იყო მუშა, 549 დანარჩენი თანამშრომელი. 1923 წ. მაისის 5-ის უკანასკნელი სამრეწველო აღწერის ცნობებით, საქართველოში ითვლება სულ ფაბრიკა-ქარხნის ტიპის წარმოება (რკ. გზის სახელოსნოების და დეპოს გამოკლებით) 529, რომლებშიც აღწერის დღეს ითვლებოდა 8.035 მუშა.

საწარმოვთა და მუშა ძალის რაოდენობა.

	მომქმ. წარმ. რაოდ.	მუშების რაოდენ.	საშ. რიცხვი მუშ. 1 ქარხ.
1923 წ. იანვრ. 1-თვის	67	4.134	70
1923 წ. ოქტომ. 1-თვის	59	3.608	70

მაშასადამე საწარმოს რაოდენობა წლის განმავლობაში შემცირებულა 8 (12%)-ით, მუშების რიცხვი კი—528(13%)-ით.

ასეთია საერთო სურათი. თუ კი ცალ-ცალკე ჯგუფებათ დავყოფთ წარმოებებს და ისე განვიხილავთ უმთავრესად მთავარ ჯგუფებს, აშკარა გახდება მათი კიდევ უფრო გადიდება. მაგალითად:

ერთ წარმოებაზე მოდიოდა მუშათა რიცხვი:

	1923 წ. იანვარში	1923 წ. სექტემბ.	% იანვარ.
1. ლითონის გადამმ.	71	80	113
2. თამბაქოს წარმ.	128	171	134
3. ტყავეულობის წარ.	53	68	130
4. საქსოვის "	26	26	100
5. ფეხსაცმელების	82	110	134
6. პოლიგრაფ. "	88	83	122
7. ზეთის, საპნის "	15	44	293
8. ავეჯის "	23	74	322

საშუალოდ მრეწველობის მთავარ დარგებში მუშების რიცხვმა იმატა 25%, მაშინ, როდესაც მუშების საერთო რაოდენობამ იკლო 13 პროც. ყველაზე უფრო გაიზარდა საპნის და ხის გადამმუშავებელი წარმოება. 1922 წ. მომქმედ თითო წარმოებაში საერთოთ იყო 52 მუშა საანგარიშო წელს კი—70. ამრიგად ჩვენი წარმოება თანდათანობით ვითარდება მსხვილი წარმოების გზით და თანდათანობითვე აღწევს თავის შინა-მრეწველობის მეთოდებს.

სახელმწიფოს მრეწველობის მთელი პროდუქცია საანგარიშო ხნის განმავლობაში უდრის 7,001,054 ჩერვ. მანეთს. % მიხედვით თითო დარგის წარმოებაზე მოდის:

1. თამბაქოს მრეწვ.	49,7
2. სპირტ-კონიაკის	8,0
3. ხე-ტყის მრეწვ.	7,8
4. ტყავისა და ფეხსაცმელ.	6,6
5. ზეთის და საპნის	5,2
6. პოლიგრაფიულის	5,0
7. ქვა-ნახშირის	5,0
8. ლითონის დამუშავება	4,1
9. საქსოვის	2,0
10. ქვის, მიწის და თიხის	2,3
11. სხვა დანარჩ.	4,3
სულ	100%.

ზემოთ მოყვანილი ცნობები გვიჩვენებენ, რომ მთელი პროდუქციის თითქმის 50% მოდის მარტო თამბაქოს წარმოებაზე, რომელიც ჩვენში ერთ-ერთი უდიდესი წარმოებათაგანია. მეორე ადგილი უჭირავს სპირტ-კონიაკის და არყის გამომხდელ წარმოებას (8%), ყველაზე მცირეა საქსოვი წარმოება (2%) და დამუშავება ქვის, მიწის და თიხისა (2,3%). ზეთის, საპნის, პოლიგრაფიულის და ქვა-ნახშირის წარმოება ერთნაირია და მათი წილი პროდუქციაში 5% გამოიხატება. წლიური პროდუქციის ღირებულება 1922 წ. განმავლობაში უდრიდა—3,305,838 ოქროს მანეთს.

აქ მოყვანილი ციფრები რომ გადავიყვანოთ ჩერვონეცზე სექტემბრის 1-ის კურსის მიხედვით (ერთი ოქრო=1,50 ჩერ.), შარშანდელი პროდუქცია გამოიხატება 6,611,676 ჩერვ. მანეთში, თუ კი ამას შევადარებთ ა/წ, 9 თვის პროდუქციას დავინახავთ, რომ 9 თვის განმავლობაში შარშანდელი 12 თვის წინააღმდეგ, დამზადებული საქონელი 9% მეტია. აქედან 1923 წ. პროდუქციის საშუალო ღირებულებაა 777,895 მან. 1922 წ., კი—550.973 მანეთი ე. ი. თვიური ღირებულება 1923 წ. პროდუქციისა შეადგენს 141% შარშანდელის წინააღმდეგ.

ცალ-ცალკე წარმოებათა პროდუქციის თვიური საშუალო ღირებულების შედარება 1922 წ. და 1923 წ. შორის შემდეგ სურათს იძლევა:

	1923 წ.	1922 წ.	% დამ. 1923 1922 წ.-თან.
1. ლით. გადამმუშ.	31,950	23,777	124,4
2. ტყავ. წარ	29,945	42,089	71,1
3. ფეხსაცმლის.	21,477	13,905	154,5
4. საქსოვი წარ	16,414	23,502	69,8
5. სამკერვალო.	2,920	11,271	25,9
6. პოლიგრაფიული.	39,561	33,115	119,5
7. კარობკების	21,177	15,265	138,7
8. სახერხი ქარხანა.	34,005	57,109	59,5
9. ავეჯის წარმოება	3,189	4,151	76,8
10. ტყის ოპერაცია	23,367	29,339	79,7
11. სპირტ-კონ. და სხ.	59,000	13,885	424,9
12. თამბაქოს წარ.	386,955	181,480	213,2
13. აგურის წარ.	6,976	8,419	74,0
14. ცეცხლგამძლე აგ.	6,429	2,718	237,5
15. მიწ. ჭურჭ. წარ.	5,035	4,367	115,3
16. ქვა-ნახშ. წარ	37,920	31,021	122,2
17. ელექტ. ენერ. წარ	3,957	12,818	30,9
18. ასანთის წარ	3,372	4,423	76,2
19. ზეთ. და საპ. წარ.	40,678	36,236	112,3

მაშასადამე მოუმატნია: ლითონის გადამმუშავებელ—(34 პროც.), პოლიგრაფიულს—(20 პროც.), სპირტის, კონიაკის და სხვა—(325 პროც.), თამბაქოს—(113 პროც.), ქვა-ნახშირის—(22 პროც.) ზეთის და საპნის—(12 პროც.), ფეხსაცმლის—(55 პროც.), და სხვა პროდუქციის ღირებულებამ დაიწია: ტყავის წარმ.—(29 პროც.), საქსოვში—(13 პროც.), ხის გადამმუშავებელში—(40 პროც.), ასანთის: (25 პროც.), და სხ. მრეწველობის გაზრდა ცხადია. შესაძლებელია დაიბადოს აზრი, რომ პროდუქციის ღირებულებაში გამოხატვის შემდეგ, აგეთი დაპირისპირება არ იყოს გაჩვენებელი წარმოების ზრდისა, ფასების დღევანდელი მერეობის დროს, მაგრამ მისი ნატურალური სახე რომ შევადაროთ წარმოების ცალ-ცალკე დარგებში, იმავე შედეგებს მოგვცემს, როგორიც ზევით მივიღეთ:

პროდუქცია ნატურალური სახით 1923 წ. პირველ 9 თვეში და 1922 წ.

	1923 წ.	1922 წ.	1923 წ. პრ. 1922 წელთან.
1. თამბაქოს წარმოებაში. მოსაწევი ერთეული	923,8 მილ.	857,9 მილ.	108,0
2. არყის გამომხდ. და სპირტ-კონიაკის კონიაკი-სპირტ (გრად.)	2,369,8 ათ.	322,8 ათ.	734,5
3. ტყავეულობის წარმ. მსხვილი ტყავი-ცალ.	13,1 „	13,3 „	99,0
4. პოლიგრაფიული წარმ. ანასხი ცალი	31,511 „	15,363 „	205,0
შრიფტი და ბორდური ფული	757 „	559 „	135,4
5. ლითონის გადამმ. წარმ. რვალის ტკეცვა—ფუთი	2,656 „	66 „	4,024,2
რვალის ჩამოსხმა ფუთი	1,552 „	264 „	587,9
სპილენ. „ „	5,495 „	4,988 „	110,2
რკინეულ. „ „	1,890 „	395 „	478,5
6. ბამბის დამუშავება ხვევა ფუთი	1,348 „	1,906 „	70,7
მატყლი, ბამბა ფუთი	29 „	97 „	29,9
დახვეული ძაფი „	136 „	106 „	128,3
ქაღ. ბამბა „	556 „	1,606 „	34,6
7. ზეთის და საპნის წარმ. სარეცხი საპონი ფუთი	26,141 „	11,506 „	227,2
ტუალეტის საპონი 12-ით	23,287 „	11.356 „	205,1
სხვა და სხვა „ ფუთით	3,979 „	5,543 „	71,8

როგორც თვალსაჩინოდ მტკიცდება ამ ცხრილით, მრეწველობის ყველა მნიშვნელოვანი დარგი შარშანდელთან შედარებით გაზრდილა 8-დან 200%-ე საშუალოდ. ის დარგები კი, რომლებიც შარშან საკმაო უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც მაგ. ლიონის გადამმუშავებელი და სპირტ-კონიავარყისა, წელს დიდ მიღწევამდეა მისული.

თუ კი ყოველივე ზემოთქმულს გამოვხატავთ 1922 წ. იმავე პერიოდის პროდუქციის პროცენტებში, შემდეგ ცხრილს მივიღებთ:

1. ტყავეულობის წარმოება	99,0
2. პოლიგრაფიული „	170,2
3. ტყის ოპერაციები	50,9
4. ავეჯის წარმოება	130,8
5. საქსოვი „	56,9
6. ფეხსაცმელი	115,0
7. ლითონის გადამმუშავებელ	264,7
8. ქვის, მიწის და თიხის და მუშ. და სხ.	79,5
9. ასანთის წარმოება	115,2
10. თამბაქოს „	108,0
11. კარობკების „	121,0
12. ზეთის	71,8
13. საპნის	216,2
14. ცეცხლგამძლე აგურის წარმ.	270,8
15. ქვანახშირის მრეწველობა	105,8
საშუალო %	131.7

გამოვიდა ისეთივე ანალოგიური სურათი როგორიც მივიღეთ 1922 წლიდან სხვადასხვა წარმოებაში პროდუქციის ღირებულების შედარების დროს, სახელდობრ—გაადიდეს პროდუქცია: პოლიგრაფიულმა, ლითონის გადამმუშავებელმა, თამბაქოს, საპნის ქვა-ნახშირის ფეხსაცმელების და სხვა დაეცა: ტყავეულობის, ხე-ტყის სახერხი წარმოება, საქსოვი, ზეთის გამოხდის და სხ. საერთოდ ჩვენმა მრეწველობამ საანგარიშო წელს მოგვცა პროდუქციის გადიდება 32% 1922 წ. შედარებით. ასეთი მიღწევა ჩვენი მრეწველობისა დღევანდელი, საერთო ეკონომიური კრიზისის დროს, ყოველგვარ ფინანსიური დახმარების მიუღებლად უნდა ჩაითვალოს უდიდეს მოვლენად საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში.

ა. რ—ძე.

(დასასრული იქნება)

მხოლოდ გრძოლა

ვინც გაუკეთებს ღრმა ანალიზს საქართველოს მენშევიზმის უკანასკნელ წლეების მუშაობას, ის დაინახავს, რომ საქართველოს მენშევიზმი მტკიცეთ დადგა გადაგვარების გზაზე თავის სოციალურ-კლასიურ ბუნებაში.

არავითარი შემთხვევაში არ შეიძლება ის განხილულ იქნეს, როგორც პარტია მუშათა კლასის ან მისი ნაწილის.

ობიექტიურად ის წარმოადგენს დღეს პოლიტიკურ ორგანიზაციის მხოლოდ ბურჟუაზიულ და ნახევრად ბურჟუაზიულ საქართველოს მცხოვრებ ელემენტებისას; ქალაქის მეშჩანები, ნაციონალისტური ინტელიგენცია, სოფლის „კულაკები“ და შოვინისტური ვაჭრული, სპეკულიანტური ბურჟუაზია.

საქ. მენშევიზმი სრულიად შეგნებულად ასახელებს თავს არა მუშათა და გლეხთა კლასიურ ორგანიზაციად, არამედ ნაციონალურ ორგანიზაციად, რომლის ერთად-ერთი პროგრამაა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებასთან და ბურჟუაზიული წესწყობილების დამყარება.

რეაქციონურად გადაგვარებული მენშევიზმი საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის მეთოდათ ხმარობს ავანტიურიზმს, პოლიტიკურად და ტეხნიკურად კავშირს იჭერს სისხლის სამართლის დამნაშავე ბანდიტებთან (ჩოლოყაშვილის ჯგუფი) საქართველოში, ხოლო საქართველოს გარეთ ეძიებს იმპერიალისტურ ინტერვენციას.

ნოე ხომერიკის დოკუმენტებიდან ჩვენ დაინახეთ, რომ საზღვარ-გარეთელი მენშევიკები ურყეევად უჭერენ მხარს ყოველგვარ ინტერვენციას და საქართველოს და მთელი კავკასიის ოკუპაციას ოსმალეთის მხრით.

აქაურ მენშევიკებს ნოე ხომერიკის მეთაურობით ამ გადაწყვეტილებაში შეაქვს კორექტივი.

ისინიც ემხრობიან საქართველოს ოკუპაციას ოსმალეთის მხრით, მაგრამ ამავე დროს საჯაროდ სცნობენ, რომ ინგლისი და საფრანგეთი როცა მორჩება რურის და რეინის საკითხებს, შეთანხმებულად გამოვიდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და კავკასიაში საბჭოთა წესწყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყვანონ ოსმალეთი, რომელიც ამისათვის მიიღებს კომპესაციას საქართველოს სამხრეთ პროვინციების სახით, მაგრამ საქართველო, როგორც სუვერენული სახელმწიფო, ვერ დარჩება.

მე შემთხვევით ჩამივარდა ერთი ნომერი „სოციალ-დემოკრატისა“ (№ 1), რომელიც ოქტომბერში, ალბად „თავისუფალი საქართველოს“ მაგიერ გამოუცია მენშევიკურ ცეკას.

ეს ნომერი თავიდან ბოლომდე სავსეა საბჭოთა ხელისუფლების და ჩვენი გინებით, იმეორებენ ს. დევდარიანის სიტყვებს, რომ საქართველო დაიპყრეს ეკონომიურად და პოლიტიკურად რუსეთმაო და სხვა.

მაგრამ, რაც საყურადღებოა ამ ჟურნალში, ეს არის მათი აშკარა განცხადება, რომ საქართველოს არაფერი საერთო არ აქვს რუსეთთან და საბჭოთა წესწყობილებასთან, ის იცქირება დასავლეთ ევროპისკენ და შავი ზღვიდან ელოდება შველას.

ამ გვარად, საქ მენშევიზმი, აერთებს რა მთელ რეაქციონურ ელემენტებს, აღიარებს, რომ მას არაფერი საერთო არ აქვს საბჭოთა ხელისუფლებასთან, არ სწამს მუშათა მთავრობა, არ სწამს პროლეტარიატის დიქტატურა და იდეალად ისახავს ბურჟუაზიულ წესწყობილებას, ელის, ენატრის ინტერვენციას, იჭერს კავშირს ბანდებთან.

სეით დევდარიანი ერთხელ თავის ღია წერილში გვწერდა:

— თუ დამტკიცდება, რომ ჩვენ კავშირი გვქონდა ბანდებთან, ან ინტერვენციის მომხრენი ვართო, მაშინ ერთ დღესაც არ იარსებებს ჩვენი პარტია.

ბატონებო, ამას თქვენ თვითონ ამტკიცებთ იმ დოკუმენტებით, რომლებიც თქვენ აღმოგაჩნდათ.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მენშევიკური პარტია, როგორც მუშათა კლასის ან მისი ნაწილის პარტია, ამ ფაქტების შემდეგ ვერ იარსებებდა და არც არსებობს.

ის გადაგვარდა, სრულიად გადავარდა რეაქციონურ მორევში.

მაგრამ მუშათა კლასი მას მოუღებს ბოლოს. დღეს ყოველი შეგნებული მუშის დევიზი ებრძოლოს ამ რეაქციონურ ორგანიზაციას.

ის, ვისაც უყვარს ჩვენი რევოლიუცია, ვინც მტკიცეთ სდგას რევოლიუციის მონაპოვართა პოზიციებზე, ვისაც სწამს, რომ მუშათა გამარჯვება მუშათა საქმეა, ვინც დარწმუნდა იმაში, რომ ბურჟუაზიულმა წესწყობილებამ მოსპამა თავისი დრო, დემოკრატია და კოალიცია—ეს რეაქციონური მოვლენაა პროლეტარიატის ბრძოლის და სოციალურ რევოლიუციის ეპოქაში, ის აწარმოებს სასტიკ ბრძოლას ყველა იმ რეაქციონურ ელემენტებთან, რომლებიც დღეს სოციალისტის სახელით გამოდიან მასსის მოსატყუებლად და ნამდვილად კი აკეთებენ შავ რეაქციონურ საქმეს.

პლებეი.

როგორ ესმოდა კარლ მარქსს რევოლიუციის პროცესი

I

ჯერ კიდევ რევიზიონისტებმა ბერშტეინმა და კომპანიამ მარქსის მთელი რიგი დებულებები ყალბად განმარტეს, ოპორტიუნიზმი შეჰქმნეს და მრავალ მიმდევრებში გაუგებრობა და ეჭვი დაბადეს.

1905—1917 წ.წ. მენშევიკებმაც ნებსით თუ უნებლიეთ გაიზიარეს რევიზიონისტების სიყალბე და ამდენადვე დასცილდენ ჭეშმარიტ რევოლიუციონურ მარქსიზმს.

დღეს უაღრესად კრიტიკული ხანაა. დღეს ჩვენ ვახდენთ გადაფასებას იმ ძველი გზისა, რომელსაც მენშევიკურ პოლიტიკას უწოდებენ. ფაქტია, რომ საქართველოს სოც.-დემოკრატიის მშრომელმა მასამ 25 აგვისტოს მიიღო ახალ გზაზე დადგომა აუცილებლად და დღეს იგი კომუნისტურ პარტიასთან ერთად აშენებს სოციალისტურ სახელმწიფოს.

ზედმეტი არ იქნება, თუ ჩვენ მარქსის ნაწერებთან შევადარებთ, როგორც ძველ ჩვენ გზას, აგრეთვე გავითვალისწინებთ თეორეტიულ საფუძვლებს, რომელიც სარჩულად უდევს კომუნისტურ პარტიის პოლიტიკას.

და ერთხელ კიდევ ნათელვყოფთ იმ შეცდომებს, იმ მიზეზს, რომელმაც დაამარცხა უძლიერესი პარტია საქართველოში სოც.-დემოკრატია და რომელმაც გამარჯვება მიანიჭა კომუნისტურ პარტიას.

სოციალიზმის მეცნიერული დასაბუთება ემყარება სამ მთავარ ტენდენციაზე, რომელსაც ააშკარავებს კაპიტალისტური მეურნეობის განვითარება: 1) კაპიტალისტური მეურნეობის ანარქიის თანდათანი ზრდა, რომელიც უეჭველად მიგვიყვანს მის დაღუპვამდის. „კომუნ. მანიფ.“. მარქსი სწერს: „ეს რამდენიმე ათი წელია მრეწველობისა და ვაჭრობის ისტორია წარმოადგენს თანამედროვე საწარმოვო ძალების აჯანყების ისტორიას, აჯანყებას წინააღმდეგ წარმოების თანამედროვე ორგანიზაციისა, წინააღმდეგ თანამედროვე ქონებრივი ურთიერთობისა... ამის ასახსნელად საკმარისია დავასახელოთ სავაჭრო კრიზისები, რომელიც დრო გამოშვებით მეორდება და ბურჟუაზიული საზოგადოების არსებობას თანდათანობით ემუქრება... მის განკარგულებაში მყოფი საწარმოვო ძალები ბურჟუაზიული ქონებრივი ურთიერთობის შენახვას ხელს აღარ უწყობენ... მტკიცდება, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობა მეტის მეტად ვიწროა და მის მიერ შექმნილ სიმდიდრეს ვერ იტევს“-ო.

2) თანდათანი ზრდა სამრეწველო პროცესის განზოგადებისა არის ერთი მთავარი ყავარჯენი სოციალისტური სასოგადოების დასამყარებლად.

იმავე „კომუნ. მანიფესტში“ ეკითხულობთ, რომ ბურჟუაზია ხელს უწყობს მუშაობა გაერთიანებას—მათი ერთი სამრეწველო ცენტრში შეგროვებით. ამნაირად ბურჟუაზია თვითვე ანგრევს თავის არსებობის საფუძველს—იგი თვითვე იწვევს თავის მესაფლავეებს. პირველის დამარცხება და მეორეს გამარჯვება თანაბრად აუცილებელიაო.

3) აქტიური ფაქტორი კაპიტალისტური სამყაროს გარდატეხვისა არის პროლეტარიატის კლასობრივი შეგნების გაძლიერება.

„კაპიტალის“ I ტ. 551 გვ. მარქსი ამბობს: „კაპიტალისტური მონოპოლია ხდება ბორკილად იმ მრეწველობის წესებისათვის, რომელიც წარმოიშვა და განვითარდა მასთან ერთად. სამრეწველო საშუალებათა ცენტრალიზაცია და შრომის განზოგადება აღწევს იმ პუნქტს, როდესაც ისინი ხდებიან შეუთავსებელი თავის კაპიტალისტურ გარსთან. მაშინ იგი სკდება. კაპიტალისტური საკუთრების დაღუპვის საათი რეკს. ექსპროპრიატორების ექსპროპრიაციას მოახდენენ“-ო.

თუ როდის დადგება ეს მომენტი, ამის შესახებ მარქსი თავის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის“ შესავალში XIII-XIV გვ. გვეუბნება, რომ ეს მომენტი დგება მაშინ, როდესაც ძველი საწარმოვო ურთიერთობაში უკვე მომწიფდა ახალი უფრო მაღალი სამრეწველო ურთიერთობანი.

უმთავრესი და უპირველესი დანაშაული რევიზიონისტების და შემდგომ მენშევიკების, მდგომარეობს შემდეგში: ისინი მუდამ უჩიჩინებდენ პროლეტარიატს, რომ მას არ აეღო ძლიერ ადრე ძალა-უფლება და არ გამოსულიყო საზოგადოების მესაჭეთ.

ეს საბედისწერო შეცდომა მოუვიდათ მათ იმიტომ, რომ მარქსის სიტყვებში „სამრეწველო ძალაში“ იგულისხმეს მხოლოდ მრეწველობის ტეხნიკური პირობები და მათი აზრით სოციალისტურ რევოლიუციის დრო მაშინ დადგება, როდესაც სამრეწველო ძალები თვითვე მიაღწევენ რა მაღალ განვითარებას ადამიანის ექსპლოატაციას შესცვლიან და შრომის სიდიდე უმნიშვნელო რაოდენობამდის დაიწევსო.

ამნაირად, თუ მარქსი მთელ თავის ნაწერებში წითელი ზოლივით ატარებდა, რომ რევოლიუციის მთავარი ფაქტორი არის პროლეტარიატიო, რევიზიონისტებმა მთელი ყურადღება მიაქციეს გარკვეულ გარეგნულ მომენტს—როგორიც არის მრეწველობის ტეხნიკური პირობები—რომლის განვითარებას მივყავართ იქამდის, რომ ბოლოს და ბოლოს იქმნება იძულებითი მდგომარეობა, როდესაც საზოგადოებას მეტი არაფერი რჩება, გარდა სოციალიზმის შემოღებისა.

თუ კი კაპიტალიზმი დაინგრევა ასტრონომიულ აუცილებლობითო — ამბობდენ რევიზიონისტები, მაშინ ზედმეტია პროლეტარიატმა ტყეულ-უბრალოდ სისხლი დაღვაროს კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაშიო. საერთოდ რევიზიონისტების პრაქტიკული ფორმულა ასეთია: იძინოს პროლეტარიატმა თუ გინდ გარემოებამ აიძულოს აიღოს ძალა-უფლება ხელში.

თუ ჩვენ ამდენხანს შევჩერდით რევიზიონისტებზე ეს იმიტომ, რომ ჯერ ერთი უდიდესი გაშყალბებელი რევოლიუციონურ მარქსიზმის, თეორეტიულად იყვნენ ბერშტეინი და კომპანია, ხოლო მეორეს მხრივ ამ ყალბმა მოსაზრებებმა ჰპოვეს განხორციელება მენშევიზმის პრაქტიკულ პოლიტიკაში.

ერთი მთავარი არგუმენტი ოქტომბრის რევოლიუციის იდეის წინააღმდეგ ის იყო, რომ შეუძლებლად მიგვაჩნდა რუსეთში ომის შემდეგ უმაგალითო კრიზისის არსებობის პირობებში რევოლიუციის გამარჯვება. ეს აზრი თავის გამოსავალს პოულობს ოპორტიუნიზმის ფართოდ გავრცელებულ თვალსაზრისში, რომ პროლეტარული რევოლიუცია იქნება ნაყოფი სიმდიდრისა, სამრეწველო ძალთა უაღრესი განვითარებისა და არა კრიზისისა და სიღარიბისა.

თუ ჩვენ მარქსიზმის ასეთი გაგებით მივალთ მარქსის ნაწერებთან მისგან დასტურის მისაღებად, უნდა ვთქვათ, რომ საჭიროა დიდი ფალსიფიკატორული მუშაობა, რომ არ გამომჟღავნდეს პოლიტიკურად ტყეული და მეცნიერულად ყალბი მოსაზრება, რომელსაც მარქს აწერენ რეფორმისტ-ოპორტიუნისტები.

ჩვეულებრივ სამრეწველო კრიზისების დროს ხდება განადგურება საგრძნობი ნაწილის არა მარტო დამზადებულ პროდუქტებისა, არამედ სამრეწველო ძალებისაც. ომის დროსაც ასეთივე მოვლენებს აქვს ადგილი თუმცა უკანასკნელ შემთხვევაში გამოსწორება კრიზისის უფრო მეტ დროს მოითხოვს.

ფრ. ენგელსი „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში" მარქსის შრომის წინასიტყვაობაში ამბობს (გვ. 4): „ძირითადი მიზეზი მარტისა და თებერვლის რევოლიუციისა იყო კრიზისი მსოფლიო ვაჭრობაში, რომელიც დაიწყო 1847 წ. ხოლო 1848 წ. იწყება პერიოდი სამრეწველო გამოცოცხლებისა, რაიც აღწევს თავის აპოგეას 1849—1850 წ. რამაც მოამზადა ნიადაგი კვლავ გაძლიერებულ ევროპის რეაქციისათვის". მარქსი და ენგელსი თვლიდენ რევოლიუციონურ პერიოდის ეტაპს დასრულებულად, მეორე ეტაპს ელოდენ, მხოლოდ შემდეგ, როცა ახალი ტალღა ეკონომიური კრიზისისა გადაივლიდა ევროპაში.

მარქსი გარკვევით ლაპარაკობს ერთ-ერთ წერილში, რომელიც მოთავსებულია ამერიკის გაზეთ „ნიუორ-ტრიბუნ"-ში, რომ რევოლიუციას ევროპაში შანამ ვერ ვიხილავთ, სანამ არ დაიწყება ევროპის ომიო.

მარქსი ხოლგესთან წერილში 10 სექტემბ. 1870 წ. ითვალისწინებდა რა მოსალოდნელ ომს გერმანეთ-რუსეთის შორის, ამბობდა: „ასეთი ომი შეასრულებს ბებიის როლს უეველად მოსალოდნელ რუსეთის სოციალურ-რევოლიუციის პროცესშიო".

რას გვეუბნებიან ეს ამონაწერები მარქსის და ენგელსის შრომებიდან თუ არა იმას, რომ მენშევიკებს დაავიწყდათ თავიანთი მასწავლებლის აზრები ომზე, სამრეწველო კრიზისებზე და მათი მნიშვნელობა რევოლიუციის გამოსაწვევად.

თუ მარქსი და ენგელსი ერთად-ერთ იმედს ეკონომიურ კრიზისზე და ომებზე ამყარებდენ, მენშევიკებმა ეს სიცოცხლითა და ენერგიით სავსე ფაქტორები - რევოლიუციის გამოსაწვევად და გასამარჯვებლად — მიიჩნიეს დამლუპველად და კიდეც წინასწარმეტყველებდენ ოქტომბრის რევოლიუციის სწრაფ დამარცხებას.

იმდენად, რამდენადაც მენშევიკების შეხედულება და გაგება მარქსიზმისა იყო ყალბი — იმდენად სრულიად ბუნებრივი იყო მათი დაბნევა-დამარცხება, ხოლო მეორეს მხრივ რამდენად სწორად იყო თავიდანვე გაგებული მარქსიზმი ბოლშევიკების მიერ, იმდენად სრულიად ბუნებრივია მათი გამარჯვება, რადგანაც მარქსიზმი მეცნიერული დასაბუთებაა რევოლიუციის პროცესის.

ა. კალაძე.

პოლიტიკური მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე).

***

ინგლისში საპარლამენტო არჩევნებზე კონსერვატორების დამარცხების შემდეგ უცბად დაიბნენ ბურჟუაზიული შთავრობები. ბალდვინი ფიქრობდა ;მაშინათვე გადადგომას და ოპოზიციისათვის, ამ შემთხვევაში მუშათა პარტიისათვის მინდობას კაბინეტის შედგენისა. მაგრამ კონსერვატორებმა ის დროებით შეაჩერეს.

არჩევნების დასრულების პირველ ხანებში პუანკარე ომიც მოლბა და თანახმა გახდა გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკების დაწყებისა.

მაგრამ გავიდა ცოტა დრო და პუანკარე კვლავ მრისხანე და შეურიგებელი გახდა. წარსულ თავის ჩვეულებრივ საკვირაო სიტყვაში მან განაცხადა, რომ საფრანგეთი არ შესწყვეტს ოკუპაციას იმ დრომდე, სანამ გადახდილი არ იქნება კონტრიბუციის მთელი ჯამი. მანვე განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობა მზათ არის განიხილოს ყველა საშვალებები კონტრიბუციის საკითხის მოსაგვარებლადო.

ერთი სიტყვით ჩვენს წინ სდგას ისევ სასტიკი, ულმობელი სისხლის მსმელი პუანკარე.

8 იანვარს ინგლისში მოხდება ახლად არჩეული პარლამენტის პირველი სხდომა, რომელზედაც შეიძლება ბალდვინმა მაკდონალდს გადააბაროს ინგლისის გამგებლობა და მაშინ ვნახოთ რა ჰანგზე ამღერდება ეს მრისხანე მოხუცი.

***

გერმანიის მთავრობა თანდათან მარჯვნივ იხრება. ის დღემდე ხასიათდებოდა, როგორც „ზომიერი", „ნელი", კონტრ-რევოლიუციის მატარებელი მთავრობა. დღეს კი სხვა დახასიათება სჭირია მას.

დღეს მარქსის მთავრობა სასტიკი გახდა არა მარტო საერთოდ, არამედ თვით მისიან სოც. დემოკრატიის წინააღმდეგ. მან დევნა დაუწყო სოც. დემოკრატიულ ორგანიზაციებს და განსაკუთრებით პრესას.

უკანასკნელ ხანებში სამხედრო ღიქტატურამ გააძლიერა თავდასხმები სოც.-დემოკრატიაზე და კერძოთ სოციალ-დემოკრატიულ პრესაზე.

პასუხისგებაშია მიცემული გაზ. „ფრანკფურტერ ფოლკსშტიმე"-ს რედაქტორი, „სახელმწიფო ღალატისათვის", რაც გამოიხატა მემარჯვნე ორგანიზაციების მოღვაწეობის გამოაშკარავებაში.

მთელ გერმანიაში აღძრულია 1200 ანალოგიური ბრალდება სოციალ-დემოკრატიული პრესის წინააღმდეგ. მთელ რიგ ადგილებში აკრძალულია სოციალ-დემოკრატიული კრებები. აკრძალეს წინასწარი საარჩევნო კრება, რომელიც მოიწვია შინაგან საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ზოლგანმა.

დახურეს „ბერლინერ ფოლკსაიტუნგ" და „კენიგსბერგერ ფოლკსაიტუნგ", რომლებმაც პროტესტი განაცხადეს სამხედრო ხელისუფლების მოქმედების წინააღმდეგ.

მთავრობა არავითარ ანგარიშს არ უწევს პარლამენტის საკანტროლო კომისიას, რომელიც არჩეულია იმ პროექტების განსახილველად, რომლებსაც აქვეყნებს მთავრობა რეიხსტაგის გარეშე.

სოციალ-დემოკრატიულ წრეებში ძლიერ აღშფოთებული არიან. ჰილფერდინგმა, ჰერცმა და სხვა სოციალ-დემოკრატებმა ინახულეს მარქსი და მოსთხოვეს განსაკუთრებული წესების მოხსნა.

მთავრობის წრეებში სოციალ-დემოკრატებას ამ პროტესტს დიდ მნიშვნელობას არ აძლევენ.

გამოქვეყნდა მთავრობის თვითნებური განკარგულება სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეთათვის 54 საათის სამუშაო კვირის შემოღების შესახებ. ეს განკარგულება არ ყოფილა განხილული პარლამენტის საკონტროლო კომისიის მიერ.

სამუშაო დღე ყველგან გადიდებულია. მუშები და მათი ორგანიზაციები ენერგიულ პროტესტს აცხადებენ ამის გამო, მაგრამ მთავრობა პროტესტებს განუხილავად სტოვებს.

ერთი სიტყვით, გერმანიაში რეაქცია დღითი დღე ძლიერდება. ის თავაშვებულად მძვინვარებს. მდგომარეობა მძიმეა.

* * *

უკანასკნელ ხანებში საფრანგეთის მთავრობას არ ასვენებს საბჭოთა კავშირის საკითხი, რომლის ცნობის შესახებ უკვე ალაპარაკდა ყველა სახელმწიფოები.

დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს ამბ. ჩიჩერინმა აღნიშნა **საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის თვალსაჩინო გაუმჯობესება და განაცხადა, რომ მხოლოდ საფრანგეთის მთავრობა ეწევა მტრულ პოლიტიკას საბჭოთა რუსეთის მიმართ,** თუმცა თვით საფრანგეთის საზოგადოებრივ წრეებში სულ უფრო იზრდება მისწრაფება საბჭოთა რესპუბლიკებთან ეკონომიური კავშირის აღდგენისაკენ.

ევროპის საერთაშორისო მდგომარეობა ვერ მოწესრიგდება მანამდე, ვიდრე საფრანგეთის დიპლომატია განაგრძობს რუსეთისადმი მტრულ მუშაობას. საფრანგეთი აძლევს სამხედრო კრედიტებს პოლონეთს და მცირე ანტანტის სახელმწიფოებს, უგზავნის მათ იარაღს და სამხედრო ინსტრუქტორებს და სდებს მათთან ხელშეკრულებებს, რათა გამოიწვიოს ამ სახელმწიფოებში მტრობა საბჭოთა კავშირის მიმართ.

ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის მისწრაფება საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ ხვდება საფრანგეთის წინააღმდეგობას.

საფრანგეთის ელჩი ჰელსინგფორსში თავისი მთავრობის დახმარებას ჰპირდება ფინეთის მთავრობას.

საბჭოთა კავშირის და მისი მეზობელ ქვეყნების ურთიერთ შეთანხმებასაც წინ ეღობება საფრანგეთის იგივე დიპლომატია. საფრანგეთი ხელს უშლის მუსოლინს დასდოს ჩვენთან შეთანხმება და თვით ავღანისტანში საფრანგეთის ელჩი მტრულ პროპაგანდას ეწევა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

* * *

სხვა სახელმწიფოებში, გარდა საფრანგეთისა, გრძელდება კამპანია საბჭოთა კავშირის ცნობის სასარგებლოდ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ამერიკაში სენატორ ბორას კამპანია და შვეიცარიაში დეპუტატ სვენ გედინის პროპაგანდა საბჭოთა კავშირის ცნობისათვის.

პოლიტიკური მოღვაწე გარვინი გაზ. „ობსერვერ"-ში აცხადებს, რომ ავღანისტანთან არ მოხდებოდა დამოკიდებულების გართულება, რომ რუსეთთან არსებობდეს ნორმალური ურთიერთობა გარვინი ფიქრობს, რომ 1924 წლის განმავლობაში მოგვარებული იქნება საბოლოოთ რუსეთთან დამოკიდებულება

* * *

უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ აგრეთვე ინგლის-ავღანისტანის კონფლიკტს. ჩვენ წინა კვირეულში აღვნიშნავდით, რომ ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას სურს მომავალ მუშათა მთავრობას დაახვედროს აწეწილ-დაწეწილი მდგომარეობა. ბალდვინის მთავრობა თავის არსებობის უკანასკნელ დღეებს განიცდის და ამიტომ მეტად ამყრალდა. მისი ბრძანებით ინგლისის სარდლობამ ავღანისტანის საზღვრებზე დააგროვა ჯარი.

პეშავერში აღკრძალულია ღამით სიარული. დროებით გაუქმებულია ის მატარებელი, რომელიც ღამით მოდიოდა პეშავერში. ბომბეის რკინის გზის ხაზი მიყვანილია ავღანისტანის საზღვრამდი. ქაბულის სამხედრო წრეების მდგომარეობას მეტათ სერიოზულად სთვლიან.

მდგომარეობა გამწვავებულია. ვნახოთ რა იქნება.

* * *

დეპეშებმა მოგვიტანა ცნობა, რომ საფრანგეთის და ჩეხო-სლოვაკიის შორის დაიდო თავდაცვითი ხელშეკრულება გერმანიაში და ავსტრიაში მონარქიის აღდგენის ცდის საწინააღმდეგო ხელშეკრულება რომელიც ამყარებს თავდაცვითი კავშირს ორივე სახელმწ. შორის და შეიცავს ურთიერთ ვალდებულებებს, ჩეხოსლოვაკიასა და საფრანგეთის მხრით, ავსტრიაში და გერმანიაში გაპსბურგების და ჰოგენცოლერნების რესტავრაციის და ავსტრიის გერმანიასთან შეერთების ცდის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარების შემდეგ მტკიცდება კავშირი საფრანგეთისა და ჩეხო-სლოვაკიის გენერალურ შტაბებს შორის.

ინგლისის მუშათა პარტიის მთავრობის პერსპექტივები.

8 იანვარს შეიკრიბება ინგლისის ახალი პარლამენტი და მოხდება მთავრობის არჩევა. მეტად საინტერესოა, თუ ვინ იქნება ინგლისის ახალი მთავრობა. ადვილად მოსალოდნელია, რომ ინგლისის მუშათა პარტიას ხვდეს წილად ქვეყნის მართვა-გამგეობლობის საქმის თავის თავზე აღება.

ამიტომ საჭიროა წინასწარ გავითვალისწინოთ მუშათა პარტიის მთავრობის პერსპექტივები.

ახალ პარლამენტში შედიან 257 კონსერვატორი, 159 ლიბერალი, 192 მუშათა პარტიის დეპუტატი და 7 დამოუკიდებელი. ძველი პარლამენტი კი შესდგებოდა: 347 კონსერვატორისაგან, 117 ლიბერალისაგან, 143 მუშათა პარტიის დეპუტატისაგან და ერთი კომუნისტისაგან.

დამთავრდა თუ არა საპარლამენტო არჩევნები, მაშინათვე დაიწყო პოლიტიკური კრიზისი და ლაპარაკი იმაზე თუ ვისგან უნდა ყოფილიყო შემდგარი მთავრობა. ერთი კვირის განმავლობაში ყველა პარტია რყევას განიცდიდა ამ მხრივ. ბალდუინს უნდოდა დაუყონებლივ გადამდგარიყო და ჩვეულებისამებრ მთავრობის შედგენა გადაელოცა ყველაზე უძლიერეს ოპოზიციასთვის, ე. ი. მუშათა პარტიისათვის, რომ მას შეედგინა მთავრობა. ლიბერალებიც აქეთკენ უჭიკავებდნენ იმ იმედით, რომ მუშათა პარტია უარს იტყვის მთავრობის შედგენაზე და მაშინ მთავრობის შექმნას ლიბერალების პარტიას მიანდობენო.

პირველ დღეებში თვით მუშათა პარტიაც ყოყმანობდა. მაგრამ ამ პარტიის წიაღში თანდათან გაიზარდა მიმდინარეობა ძალაუფლების აღების სასარგებლოდ. ამნაირად მსჯელობდნენ: თუ მაკდონალდს მიენდობა მთავრობის შედგენა, მაშინ მუშათა პარტიის მთავრობა პალატას წარუდგენს კანონ-პროექტს უმუშევრობის შესახებ, მუშათა სახლების აშენების შესახებ და საგარეო პოლიტიკაში—ის მოითხოვს საბჭოთა რუსეთის სრულ ცნობას და ეტყვის პალატას:

აი ჩვენი პროექტები, ჩვენ მათ განვახორციელებთ, თუ თქვენ მას დასტურს მისცემთ და თუ უარყავით, ჩვენ არ გადავდგებით, ვინაიდან დღეს არვის არ სურს ახალი არჩევნები. მოვითხოვთ ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებას. მაგრამ თუ თქვენ დასვამთ ნდობის საკითხს და ჩვენ თუ უნდობლობა მივიღეთ, მაშინ მოვითხოვთ ახალ არჩევნებს და ქვეყანას ვეტყვით: აი ჩვენ შევიტანეთ ასეთი პროექტები და გვინდოდა გვეცადა მათი განხორციელება, მაგრამ პარლამენტმა ხელი შეგვიშალა, არ დაამტკიცა ის, ამიტომ მდგომარეობის გაუარესებაში პარლამენტია პასუხისმგებელი, ჩვენ კი ახლა ვსთხოვთ ქვეყანას გამოგვიცხადოს თავისი ნდობა და იმავე დროს მოგვცეს ერთგვარი ძალა ჩვენი პროგრამის განსახორციელებლად.

აი ამ გეგმამ დიდი მომხრეები იპოვა მუშათა პარტიის დეპუტატებში, მით უმეტეს, რომ უმრავლესობა წინააღმდეგი იყო ყოველგვარი კოალიციისა ლიბერალებთან.

მემარცხენე დეპუტატები პირდაპირ რასკოლით იმუქრებოდნენ იმ შემთხვევაში, თუ პარტია კოალიციის გზას დაადგებოდა,

მას შემდეგ, რაც ყველამ გაიგო, რომ მუშათა პარტია უარს არ ამბობს მთავრობის შედგენაზე, კონსერვატიულმა პარტიამ გაელენა მოახდინა ბალდუინზე და უკანასკნელს განაცხადებია, რომ კონსერვატიული პარტია დარჩება ძალაუფლებასთან მანამ, სანამ არ შეიკრიბება ახალი პარლამენტი და მას არ წარუდგება მთავრობა. კონსერვატიული მთავრობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გადადგება, თუ პარლამენტი მას უნდობლობას გამოუცხადებს.

ამ ჟამად პარტიათა შორის გამართულია საიდუმლო მოლაპარაკებანი. განსაკუთრებით კონსერვატორიული პარტია და ლიბერალები ეარშიყებიან ერთმანეთს. Господа положения არიან ლიბერალები, რომლებიც ათასნაირ ხრიკებს მიმართავენ, ოღონდ რამე მოიგონ. ისინი ეუბნებიან მუშათა პარტიას: „თუ თქვენ გსურთ უჩვენოდ, მარტო მოქმედება, მაშინ ჩვენ მხარს არ დაგიჭერთ, ჩვენ თავს შევიკავებთ თქვენი კანონპროექტების კენჭის ყრის დროს, თუ თქვენ წარმოადგენთ წინადადებას ბალდუინის კაბინეტისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ, არც მაშინ დაგიჭერთ მხარს, თავს შევიკავებთ. ჩვენ თვითონ შევიტანთ ბალდუინის კაბინეტისადმი უნდობლობის წინადადებას და თქვენ ალბათ თავს შეიკავებთ. თუ მხარი დაგვიჭირეთ, მაშინ მეფე ასკვიტს მიიხმობს და წინადადებას მისცემს მთავრობის შედგენისა, მაგრამ, რადგანაც ერთი მთლიანი ოპოზიცია არ იქნება, ისევ კონსერვატორები დარჩებიან ძალა-უფლებასთან.

ეს ანარქიული მდგომარეობა არ ეარგაო, ამბობენ ლიბერალები და თან უმატებენ: ნუ შეეკრავთ ფორმალურ კოალიციას, მაგრამ მაინც ერთად ვიმუშაოთო.

საერთო მუშაობისათვის საფუძველი გვაქვს. ეს არის საგარეო პოლიტიკის სფერო, სადაც ჩვენ უთანხმოებანი არ გვაქვს. თქვენ არ შეგიძლიათ იფიქროთ კაპიტალის დაბეგვრის პროექტის შესახებ, დაანებეთ მას თავი. წარმოადგანეთ თქვენი კანონპროექტები უმუშევრობის შესახებ, მუშათა პენსიებისა და საბინაო საკითხის შესახებ. ჩვენ ალბათ შეეთანხმდებით ამ კითხვებშიო—ამბობენ ლიბერალები.

ასეთია მდგომარეობა იმ ცნობების მიხედვით, რომელიც დღემდე მივიღეთ. რა იქნება შემდეგს ეს ჩვენ ჯერჯერობით არ ვიცით, მაგრამ მუშათა პარტიის მთავრობის საქმე არ არის სანუგეშო. თუ მუშათა პარტია შეეთანხმდა ლიბერალებს, აშკარაა, ამით ის დაკარგავს თავის პრესტიჟს ამომრჩეველებში, უმისოდ კი კონსერვატორებს ვერ დაამარცხებს. წარმოვიდგინოთ, რომ ლიბერალებთან შეთანხმებით მუშათა პარტიამ დაამარცხა კონსერვატორები და ძალა-უფლება ხელში ჩაიგდო. ისიც დაუშვათ, რომ მუშათა პარტიამ მოინდომა თავისი გეგმების განხორციელება და კაპიტალის დაბეგვრა. ამ შემთხვევაში ლიბერალები და კონსერვატორები ძალიან ადვილად შეთანხმდებიან და მუშათა პარტიის მთავრობას უნდობლობას გამოუცხადებენ.

შესაძლებელია აგრეთვე ისიც ვიფიქროთ, რომ მუშათა პარტია, თუ ის მთავრობაში მოექცა, განახორციელებს თავის პროგრამის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც არ ეწინააღმდეგება ლიბერალების პროგრამას. ამ შემთხვევაში ის შეიძლება დიდხანს დარჩეს მთავრობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში რამოდენიმე თვის შემდეგ შეიქნება მთავრობის კრიზისი.

აი ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფება მთავრობის შედგენის საქმე ინგლისში.

ვნახოთ, რა იქნება...

ქრონიკა

ამხ. ილ. გიორგაძე, რომელიც ვერაგულად მოკლულ იქნა 29 დეკემბერს ღამით, თფილისის პროლეტარიატმა დიდის პატივისცემით და მოწიწებით მიაბარა მიწას 3 იანვარს. დასაფლავებამ მენშევიზმის წინააღმდეგო დემონსტრაციის ხასიათი მიიღო.

ხ. დევდარიანმა ნ. ჟორდანიას მიმართვა გაუგზავნა, რომელშიაც აღნიშნავს სოც. დემოკრატიული პარტიის ტაკტიკის უვარგისობას და ამბობს: **მე გავხდები აქტიური პოლიტიკური მოწინააღმდეგე ჩვენი პარტიის თუ არ შეიცვალა მისი დღევანდელი გზა საქართველოს საკითხშიო.**

თფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების საბჭოს პირველი სხდომა შესდგა 28 დეკემბერს. საბჭომ აირჩია ახალი აღმასკომი. აღმასკომის და საბჭოს თავმჯდომარეთ ერთხმად არჩეულ იქნა ლადო ხუხიშვილი.

უკვე დასრულდა საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობა, რომელმაც მრავალი საყურადღებო საკითხები განიხილა და სათანადო დადგენილებები მიიღო. დაწვრილებით შემდეგ.

ჩვენი ამხანაგებიდან სრულიად საქართველოს აღმასკომში არჩეულ იქნენ: ამხ. ა. ფარნიევი, ნ. ჩლაიძე და ბ. ვიგორბინი.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა გაიხსა 4 იანვარს.

საბჭოთა რუსეთი და უცხოეთი.

სვენ ჰედინმა, რომელმაც რუსეთში იმოგზაურა და გაეცნო აქაურ პირობებს, შვეციაში გამოაქვეყნა წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირი გაცილებით უფრო ძლიერია, ვიდრე იყო მეფის მთავრობაო.

4 იანვარს ამერიკაში სენატის საგარეო საქმეთა კომისიას უნდა მოეწვია კომისია, რომელიც განიხილავდა საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხს.

ვრანგელი მიდის ჩეხო-სლოვაკიიდან, რადგანაც მოელის, რომ ამ დღეებში დაიწყება საბჭოთა კავშირის და სამხრეთ სლავიას შორის ნორმალური ურთიერთობაო.

საფრანგეთის მთავრობა განაგრძობს თავის მტრულ დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირის მიმართ. ის ხელს უწყობს მცირე ანტანტას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ მუშაობის გაძლიერებაში.

სხვა და სხვა ამბები.

პუანკარემ განაცხადა, რომ ის არ შესწყვეტს ოკუპაციას, სანამ გერმანია არ გადაიხდის კონტრიბუციის მთელ ჯამს.

საფრანგეთის მთავრობა დაკავებულ ოლქებში კიდევ რეპრესიებს მიმართავს: რეიხეიდში მათ დაატუსაღეს ქალაქის მოხელეები და ქალაქის თავი და დაიკავეს ქალაქის თვითმართველობის შენობა.

შტერზმანმა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ საფრანგეთის მთავრობა ფარულად დახმარებას უწევს სეპარატისტებს

რურის ოლქის მელიორონეებმა უარყვეს პროფკავშირების ხელმძღვანელების მიერ მწარმოებლებთან დადებული შეთანხმება 10 საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. უმუშევრებმაც განაცხადეს, რომ ისინიც 8 საათის სამუშაო დღეს უჭერენ მხარს.

იტალიაში დაიწყო კომუნისტების მასსიური დატუსაღება: მარტო ბარსელონში დაატუსაღეს 200 კომუნისტი.

გერმანიის მთავრობის ოფიციოზმა უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ საფრანგეთის მთავრობა მხედველობაში არ ღებულობს გერმანიის მთავრობის ლოიალობას და მაინც განაგრძობს მის წინააღმდეგ მკაცრ პოლიტიკას.

კომუნისტებმა გაიმარჯვეს ჰამბურგის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა კომიტეტის არჩევნებზე. კომუნისტების სიამ მიიღო 3000 ხმა, სოც. დემოკრატიების სიამ კი—50.

მთავრობამ ყველა დაწესებულებებში გადიდა სამუშაო დღე. ზოგიერთ დაწესებულებაში შემოღებულია 50 სამუშაო საათი კვირაში.

გერმანიაში დაიწყო სოც. დემოკრატიების დევნა. მთელ გერმანიაში აღძრულია 1.200 ბრალდება სოც. დემოკრატიული პრესის წინააღმდეგ. მთელ რიგ ადგილებში აკრძალულია სოც. დემოკრატიული კრებები.

საქართველო კომიტეტების არჩევნებში იმარჯვებენ კომუნისტები. ბერლინის საქართველო-საფაბრიკო კომიტეტის ახალ არჩევნებში კომუნისტებმა მიიღეს 18 ადგილი, სოც. დემოკრატებმა 3. ახალ არჩევნებამდე კომუნისტებს ჰქონდათ 15 ადგილი, სოც. დემოკრატებს—7.

გერმანიის სოც. დემოკრატიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოუშვა ბროშიურა მემარცხენე ფრთის წინააღმდეგ.

ზოგიერთი სოც. დემოკრატები სწერენ, რომ აუცილებელია სამუშაო დღის კიდევ უფრო გადიდებაო.

გერმანიის სოც. დემოკრატები საახალწლოთ გამოშვებულ „მანიფესტში“ თავს იმართლებენ მუშათა კლასის წინაშე და ცდილობენ ლაფში ამოსვაროონ კომუნისტები.

მარქსის მთავრობა პროვოკაციას ეწევა კომპარტიის წინააღმდეგ; ის განზრახ სთხზავს ყალბ დოკუმენტებს იმის შესახებ, თითქოს ნოსკეზე თავდასხმა მოაწყვეს კომუნისტებმა.

წერილები რედაქციის მიმართ.

1901 წ. მე ვირიცხებოდი სოც. დემ. მ. პარტიაში და შეძლების დაგვარათ ვმუშაობდი კიდეც. ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო ვერ მივიღე მონაწილეობა საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ყრილობაზე, რამაც მომცა ზედმეტი საშუალება გადამეფასებინა ჩემი წარსული და ამწყო. ღრმა შეგნებით ვიზიარებ რა საქართველოს სოც. დემ. მუშ. პარტიის (მენშევიკების) ყრილობის მიერ არჩეულ გზის სისწორეს, მეც სავსებით უერთდები ყველა მის დადგენილებებს და ვტოვებ მენშევიკურ პარტიას.

მუშა მკერვალი **გიორგი კახიანი.**

მე ვიყავი მენშევიკების მუშათა პარტიაში 1887 წლიდან და ახლა ვანებებ მას თავს, რადგანაც დავინახე, რომ ჩვენი მუშაობა ყოფილა არა ნამდვილი ხალხისთვის. ახლა უერთდები და მსურს ვიმუშაო თანახმად სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიულ ყრილობის 25—30 აგვისტოს დადგენილებებისა, რადგანაც ძველი მუშა ვარ მთელი ჩემი შეგნებით და ენერგიით მსურს ვემსახურო ყრილობის პრინციპებს და გადაწყვეტილებებს.

იასონ ბათიევი

სარედაქციო კოლეგია:
ა. ფარნიევი.
ა. რუხაძე.
კ. თოფაძე.
კ. შენგელია.
გ. ვარდოიანი.

ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა. ნებადართულია ლიტ. და გამ. მთავ. მართ. მიერ № 945 ტირაჟი 1000